ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა კომუნისტი

# ხალხზრდა ვერილი

გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 16 აგვისტო № 87 (11573) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.


## 1990 წლის 17 აგვისტოს მუშაობას იწყებს

## საქ[illegible]რთველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

სესიის [illegible]დიდესი ისტორიული და სასიცოცხლო მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილია. დეპუტატებს ჩვენ მხოლოდ შევახსენებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის პერიფრაზს—

**...ხვალ გამოჩნდება ვინ არს ერთგული,**
**ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!..**

## დეპუტატთა ჯგუფის სამუშაო თათბირი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრ-დეპუტატთა ჯგუფის მორიგი სამუშაო თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის ახალი პარლამენტის არჩევნების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული კანონპროექტების განხილვას.

სამივე კანონპროექტის გამო თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა: რ. გორდეზიანმა, ვ. ესვანჯიამ, ა. სანებლიძემ, ნ. ვასაძემ, ი. ხუციშვილმა, ნ. გურგენიძემ, ვ. ოკუჯავამ, დ. თევდორაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, ი. ნადირაძემ.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კანონპროექტები მეტად მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავენ და მოქმედ კანონთან შედარებით უთუოდ პროგრესულია. ამასთან გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

თათბირზე ითქვა, რომ "მაჟორიტარულ სისტემას, რომელიც საფუძვლად უდევს რიგით პირველ კანონპროექტს, მეტად მნიშვნელოვანი დადებითი მხარე აქვს. იგი საშუალებას აძლევს ამომრჩეველს გააკეთოს მისთვის სასურველი არჩევანი, ვინაიდან ამ სისტემით არჩევნების დროს კანდიდატები პერსონიფიცირებული არიან, ამომრჩეველს საქმე აქვს უშუალოდ დეპუტატობის კანდიდატთან, უფრო ადვილად შეუძლია შეაფასოს მისი პოლიტიკური თუ საქმიანი თვისებები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როდესაც საარჩევნო კამპანიის ვადები მეტად შემჭიდროვებულია, ამომრჩეველი, ფართო საზოგადოება ნაკლებად არის გაცნობიერებული, თუ რამდენი პარტია გვყავს, რომელი მათგანის პროგრამა უფრო მისაღებია მისთვის, რომელი უფრო გამოხატავს დღევანდელ საქართველოში არსებულ ვითარებას, უფრო გაბედულად იბრძვის დღევანდელი დღისათვის.

გარდა ამისა ითქვა, რომ მეორე კანონპროექტი აგრეთვე, შეიცავს მთელ რიგ დადებით დებულებებს, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა. ამიტომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა დააყენეს წინადადება გამოინახოს კანონპროექტთა შეჯიბრების გზები, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნეს ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინადადებანი, სახალხო განხილვის შედეგად შემოსული შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა შენიშვნები და სურვილები.

საქინფორმი

## ხმები და სინამდვილე

## როდის დაიწყება ახალი სასწავლო წელი?

— თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეს მოხდება 17 სექტემბერს, — თქვა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრმა გურამ ენუქიძემ.

**— მაგრამ ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ხომ სამინისტრო გაზეთებით იუწყებოდა, რომ სწავლა პირველ სექტემბერს დაიწყებოდა...**

— თავდაპირველი გადაწყვეტილება, ისევე როგორც უკანასკნელი, ითვალისწინებდა ახალი სასწავლო წლის დაწყებას სექტემბრის შუა რიცხვებიდან. გამოცხადებული ვადები შეიცვალა მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის მთავრობას მიმართეს პროფკავშირის დარგობრივმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. ამის შემდეგ კი თავისი არგუმენტი წარმოადგინა საქართველოს მინისტრთა საბჭოში თბილისის სახალხო განათლების საქალაქო სამმართველომ. ყოველივე ამის გარდა, საქმე ეხებოდა იმასაც, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სრულფასოვნად ვერ არიან მზად მოსწავლეთა მიღებისათვის, გრძელდება შენობების რემონტის, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

**— როდის დაიწყება სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში?**

— მათ მიიღეს ავტონომია და თვითონ წყვეტენ თავიანთ საკითხებს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში მეცადინეობა უნდა დაიწყოს 1 სექტემბერს, ზოგიერთ სხვა სასწავლებლებში — 1 ოქტომბერს.

**— სხვათა შორის, გვარწმუნებენ, რომ მესტიელი მოსწავლეებიც ამ დღეს მიუსხდებიან მერხებს...**

— დიახ, ეს მართლაც ასეა. საქმე ის არის, რომ სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობამ მოგვმართა ასეთი თხოვნით, რაც დაასაბუთა ბავშვების მონაწილეობით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა შევახსენო საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომ მათი უფლებაა ადგილებზე თვითონ განსაზღვრონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის დაწყების ვადები, სურვილისამებრ შეუთანხმონ ეს სამინისტროს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ახალი სასწავლო წელი უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. და ამის შემდეგ აღარ უნდა იყოს მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმის ფაქტები.

საქინფორმი

## მდინარე ფსოუზე სიმშვიდეა

**ხარწმუნო** მონაცემებით, ეგრეთ წოდებული მესხეთელი თურქების უკანასკნელმა ჯგუფებმა ძირითადად დატოვეს ქალაქ სოჭის რაიონი. ორგანიზებულად ჩაიარა მათმა ევაკუაციამ ადლერის სტადიონიდან, სადაც ბანაკი დასცეს საქართველოში დასახული მსვლელობის მონაწილეებმა. სოჭის საქალაქო საბჭოს აღმასკომის აქტიური ხელშეწყობით ისინი უზრუნველყვეს ყველა სახეობის ტრანსპორტის უკანდასაბრუნებელი ბილეთებით, მათთვის დაინიშნა სპეციალური რეისები.

და ახლა, მართალია მოხერხდა დაძაბულობის შენელება ხიდთან, მდინარე ფსოუზე, სადაც გადის რუსეთის და საქართველოს საზღვარი, მაგრამ ქართველების, აფხაზების, სომხებისაგან შემდგარი სახალხო რაზმეულების პიკეტები კვლავ განაგრძობენ ვახტს. მათ შემფოთებას იწვევს სიტყვა „ძირითადად“, და გადაწყვეტილი აქვთ პატრულობა საქართველოს „კარიბჭესთან“ მანამ, სანამ ადლერსა და მის მიდამოებს არ დატოვებს უკანასკნელი მესხეთელი თურქი.

მთლიანად ვითარება ამ რეგიონში, საიდანაც მესხეთელ თურქებს დაგეგმილი ჰქონდათ „მშვიდობიანი ლაშქრობა“ რესპუბლიკაში, სტაბილური გახდა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ თქვა, რომ თურქთა ეროვნული მოძრაობის „ვათანის“ ლიდერებმა, გაითვალისწინეს რა საქართველოში, და მათ შორის აფხაზეთში, შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გადაწყვიტეს თავი შეეკავებინათ ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი ლაშქრობისაგან“.

ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა თურქთა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელებსა და პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გამართულმა დიალოგმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის მიზნით შექმნილი შტაბებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობამ, აგრეთვე ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის, კერძოდ, „მრგვალი მაგიდის“ განცხადებამ პარლამენტური, დემოკრატიული გზით ამ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ.

**თენგიზ ჯიბუტი,**
**საქინფორმის კორ.**

## ვეხმაურებით საარჩევნო კანონპროექტებს

ამ რუბრიკისადმი მიძღვნილი თემატური მასალები

მე-2-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხმაურებით საარჩევნო კანონპროექტებს

# მხურვალედ ვუჭერ მხარს

„ახალგაზრდა ივერიელის“ 11 აგვისტოს ნომერში დიდი ინტერესით წავიკითხე მწერალ გურამ პეტრიაშვილის, ღია წერილი, 17 აგვისტოს დეპუტატებისადმი. ღია წერილის ყოველ სტრიქონსა და სიტყვას სიხარულით მოვაწერდი ხელს.

სულითა და გულით მინდა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს დღევანდელი შემადგენლობის ყველა დეპუტატმა კიდევ ერთხელ წაიკითხოს და გულთან მიიტანოს მამულის უშრეტი სიყვარულით, მის ბედნიერ მომავალზე ზრუნვით გაჟღენთილი ამ წერილის ყოველი სიტყვა.

ბატონი გურამი მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ ამკვიდრებს გამოთქმას — „17 აგვისტოს დეპუტატები“. ამკვიდრებს მემატიანის, ჭეშმარიტი გამჭრიახობით! სწორედ ამ სახელით შევლენ ისინი ჩვენი მშობლიური ერის ისტორიაში. მაგრამ როგორ? საკითხავიც აი, ეს არის, — ოქროს ასოებით თუ წყევლა-კრულვით?!.

რატომ უწოდებს ბატონი გურამი მათ მაინც და მაინც „17 აგვისტოს დეპუტატებს“? იმიტომ, რომ ამ საბჭოში მოღვაწეობის ხუთ წელზე მეტი ხნის მანძილზე მათ უნდა მიიღონ ყველაზე პასუხსაგები და ისტორიული გადაწყვეტილება.

ბატონი გურამი მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წარმომადგენელთა მონაწილეობით შემუშავებულ ჭეშმარიტად დემოკრატიულ და საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამის კანონპროექტს.

ჩემი აზრით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ფართო საზოგადოებრიობაც სწორედ ამ კანონპროექტს უჭერს მხარს. ამაში მტკიცედ და საბოლოოდ დავრწმუნდი 10 აგვისტოს თბილისში მთავრობის სახლთან გამართული გრანდიოზული მიტინგის დროს, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად და უყოყმანოდ დავუჭირეთ მხარი ამ კანონპროექტს, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 1 აგვისტოს ნომერში რიგით მეორეა დაბეჭდილი.

მიტინგის მონაწილეთა და იქ გამოსულ ორატორთა სულისკვეთებამ სხვა რამეშიც ურყევად დამარწმუნა: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ დაუშვებს (და არც უნდა დაუშვას!) „საბჭოურ-კომუნისტური კანონპროექტის“ ცხოვრებაში გატარებას, თუნდაც სისხლი დაამტკიცოს იგი. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი კანონპროექტის საფუძველზე არჩეულმა პარლამენტმა შესაძლოა კრემლის კარნახით საქართველოს ხელი მოაწერინოს ე. წ. ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რითაც იმპერია ახალ „მოოქროვილ-მოვერცხლილ“ ბორკილებს დაადებს ჩვენს სამშობლოს. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ასეთ შემთხვევაში რა მსხვერპლითა და თავგანწირვით მოგვიწევს ახალი უღლის დამსხვრევა.

„17 აგვისტოს დეპუტატებმა“ ეს მომენტი უთუოდ უნდა გაითვალისწინონ, რადგან დღის წესრიგში ულმობლად დადგება ყველა ჩვენგანის ყოფნა-არყოფნის, ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

„17 აგვისტოს დეპუტატებმა“ ისიც უნდა მიიღონ მხედველობაში, რომ მათ მიერ ამ ჭეშმარიტად დემოკრატიული კანონპროექტის უარყოფის დღიდანვე და ეს მიტინგზეც ითქვა, რომ მთელს საქართველოში დაიწყება საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა.

ბატონ გურამს, როგორც მწერალს, შესანიშნავად ესმის, როგორ აჩიავებს და ამდაბლებს მონობა ადამიანის სულს, როგორ შიშს აბუდებს მის გულში. სწორედ ამიტომ ამხნევებს იგი „17 აგვისტოს დეპუტატებს“ უზენაესი საბჭოს სესიის წინ, სესიისა, რომელიც დღევანდელ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში მხოლოდ ბრძოლის ველს შეიძლება შევადაროთ.

და ბოლოს, ჩემი აზრით, აუცილებელია 17 აგვისტოს სესიის სრული და პირდაპირი ტელერადიორეპორტაჟი. განსახილველ საკითხებზე ასევე აუცილებელია სახელდებითი კენჭისყრის ჩატარებაც, რათა მთელმა ქართველმა ხალხმა იცოდეს სესიაზე უკლებლივ ყველა დეპუტატის პოზიციის შესახებ.

**აკაკი მათიაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.**

# მწერალთა კრებაზე

ამა წლის 14 აგვისტოს, 13 საათზე მწერალთა სასახლის კლუბში გაიმართა მწერალთა კრება, რომელზეც განხილულ იქნა საარჩევნო კანონპროექტები.

კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი მეორე კანონპროექტს.

განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა ამ კანონპროექტების იმ მუხლებს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ:

1. დეპუტატობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული ენა;
2. უმჯობესია მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემა;
3. არა აქვთ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა სამხედრო პირებს, რომლებიც არ ემორჩილებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას;
4. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ პირებს, ვინც ბოლო 5 წელია მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში;
5. არჩეული შეიძლება იყოს ის პირი, ვინც ბოლო 10 წელია მუდმივად ცხოვრობს საქართველოში;
6. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი.

## თბილისის ნ. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომელთა

# განცხადება

ჩვენი საავადმყოფოს თანამშრომლები. 1. 08. 90 წ. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების კანონის პროექტის სამივე ვარიანტის განხილვის შემდეგ, მხარს ვუჭერთ რიგით მეორე კანონის პროექტს.

ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ ამ საარჩევნო კანონის მიხედვით ჩატარებული არჩევნებით შექმნილი უზენაესი საბჭო იქნება საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის ნების გამომხატველი.

მოვუწოდებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, რომ მომავალ სესიაზე დააკანონონ აღნიშნული პროექტი.

**განცხადების ტექსტი მიღებულია 7 აგვისტოს გამართულ საავადმყოფოს თანამშრომელთა საერთო კრებაზე.**

# ერთი პლუს ორი

**საქართველოს** მთავრობის სასახლეზე გაკრულია ლოზუნგი: მოვითხოვთ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას!“

ეს ლოზუნგი არის ცივილიზებული სამყაროს უდიდესი პარადოქსი, სიმბოლო ეგრეთ წოდებული „სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის“ სრული კრახისა: მეოცე საუკუნის მიწურულს უდიდესი და უმდიდრესი კულტურული წარსულის ქვეყანაში — საქართველოში — ხალხი მოითხოვს დემოკრატიულ არჩევნებს!

საზღვარგარეთის ცივილიზებულ ქვეყნებში არ ესმით ჩვენი ამ მოთხოვნის დედააზრი და მზად არიან ნებისმიერი ჭორი დაიჯერონ. მათ, უბრალოდ, არ იციან, ვერ წარმოუდგენიათ, რა არის „არადემოკრატიული არჩევნები“. ჩვენ კი ვიცით, ძალიან კარგადაც ვიცით, რადგან სამოცდაათი წლის განმავლობაში შევაჩვიეს არჩეულის დანიშვნას თუ დანიშნულის არჩევას. სოციალისტური მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა (რომლის შექმნაც ახლა დიდი ხალისით ბრალდება მხოლოდ სტალინს და მის გარემოცვას) არის იდეალურად კარგი მმართველი ზედაფენებისათვის. მისი დამსხვრევა, ახალი, დემოკრატიული სისტემით შეცვლა აპარატის ათასობით ფუნქციონერის უფუნქციოდ დარჩენას მოასწავებს. აპარატი, რომელსაც საზოგადოებისათვის სავსებით საკმარისად მიაჩნია არსებული „საჯაროობა“ და „მეტი დემოკრატია“, სრულებით არ არის დაინტერესებული (ან რატომ უნდა იყოს!) ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნების შემოღებით.

ამიტომ გახდა აუცილებელი ერთი შეხედვით ამ უცნაური ლოზუნგის წამოყენება: „მოვითხოვთ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას!“

ხელისუფლება, რომელსაც სსრკ მასშტაბით განასახიერებს ბატონი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, ხოლო ჩვენთან იგივე ფუნქცია (ნაკლები უფლებებით) აკისრია ბატონ გივი გუმბარიძეს, მზად არის მსხვერპლი გაიღოს. ოღონდ იმ პირობით, თუ ხელისუფლებას არაფერი მოუვა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს პირველ აგვისტოს გამოქვეყნებული უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონების პროექტების შედარებითი ანალიზი.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ამგვარი პროექტის გამოქვეყნებას დასჭირდა უამრავი შეხლა-შემოხლა ოფიციალურ ხელისუფლებასა და ეროვნულ მოძრაობას შორის, მჭერმეტყველურად მიუთითებს „აპარატის“ განზრახვაზე, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით შეინარჩუნოს ძალაუფლება (ამ „დანაკარგში“, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ადამიანი, პიროვნება — მისი ბედი აპარატს მუდამ მესამეხარისხოვნად მიაჩნდა).

ერთ, თუნდაც ვრცელ საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია „პროექტებში“ მოცემული ყველა ნაკლისა და ღირსების „ახლოით განჩხრეკა“. ამიტომ შევეხები მხოლოდ „პირველ“ და „მეორე“ (პირობითად) პროექტების რამდენიმე მუხლს, რომლებიც განსაკუთრებულად პრინციპულად მიმაჩნია.

„მეორე“ პროექტს ახლავს შენიშვნა, რომ მის **„შემუშავებაში მონაწილეობდნენ: მრგვალ მაგიდაში გაერთიანებული ორგანიზაციები, „დასი“, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, მწვანეთა პარტია, სახალხო ფრონტი“.**

აქ ყველაფერი ნათელია — თუ ვინმეს პროექტის მიმართ რაიმე პრეტენზია, შენიშვნა ან წინადადება ექნება, იცის კონკრეტული მისამართი, ვისაც უნდა მიმართოს.

„პირველ“ პროექტს ასეთი შენიშვნა არა აქვს, მაგრამ მისი ავტორის ვინაობის გამოცნობა და მისამართის დადგენა არ უნდა იყოს ძნელი საქმე. საკმარისია პროექტის სათაურის დაკვირვებით წაკითხვა: **„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების შესახებ“.** უკვე სათაურშივე არის გაცხადებული, რომ წინამდებარე კანონის პროექტი ეხება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომ **მის შემდგენლებს საქართველოს მომავალი წარმოუდგენიათ მხოლოდ საბჭოთა და მხოლოდ სოციალისტური.** ალბათ, გვეტყვიან, რომ ეს იქნება „ლიბერალური“, „ჰუმანური“, „გაადამიანურებული“, „სამართლებრივი“, მაგრამ მაინც მხოლოდ საბჭოთა და მხოლოდ სოციალისტური.

და მაინც, უნდა ვაღიაროთ: კანონპროექტი არჩევნების შესახებ არის უდავოდ წინ გადადგმული ნახევარი ნაბიჯი. მაგალითად, აქ არის ნახევრად პროგრესული მეთერთმეტე მუხლი: „საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან.

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საქართველოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავე დროს არჩეულ იყვნენ დეპუტატად საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში“.

საარჩევნო კანონის პროექტში ამ სიტყვების ჩამწერმა კომუნისტმა, ერთი შეხედვით, მართლაც გაუგონარი გმირობა ჩაიდინა — (ზემოდან მითითებით): ბევრ მაღალი რანგის ჩინოსანს გადაუკეტა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსაკენ მიმავალი გზა. მაგრამ ყველას არა. შედარებისათვის ვნახოთ „მეორე“ პროექტის IX მუხლი, რომელიც საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრობას უკრძალავს აგრეთვე **„სამეურნეო დარგის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეულ პირებს, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მთავარ სახელმწიფო არბიტრებს და სახელმწიფო არბიტრებს, საქართველოს პროკურორს, მის ქვემდგომ პროკურორებს და მათ მოადგილეებს“.**

განსხვავება თვალშისაცემია. დასამალი არ არის (ამას არც კომპარტია მალავს), რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამეურნეო, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი სკკპ წევრია. მათი არჩევა უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში კომპარტიას მიანიჭებს რაოდენობრივ უპირატესობას, რაც თავისთავად გახდება კომპარტიის დიქტატის გარანტია. გარდა ამისა, კომპარტია შესაძლებლად მიიჩნევს უზენაეს საბჭოში მართლმსაჯულების ორგანოთა ხელმძღვანელების არჩევას. ესეც არის საკმაოდ ცუდად შენიღბული მანევრი — კომპარტიას სურს მართლმსაჯულებას კვლავაც ის აკეთებინოს, რასაც აქამდე აკეთებინებდა. ანუ შეინარჩუნოს მართლმსაჯულებაზე მაღლა მდგომის სტატუსი.

ერთობ საინტერესო მუხლი, რომელიც ეხება საყოველთაო საარჩევნო უფლებებს. „მეორე“ პროექტში ამ მუხლში შეტანილია ორი აბზაცი, რომელსაც, ვფიქრობ, არ დაეთანხმებიან „პირველის“ მხარდამჭერნი:

„ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო, ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი“.

ეს ნიშნავს, რომ თუ საქართველოს უზენაესი საბჭოს ახლანდელი სესია „მეორე“ პროექტს დაამტკიცებს, **მაშინ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ სამხედრო პირები (მთელი სამხედრო შენაერთები), ხოლო „სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანო“ აქ შეიძლება გავიგოთ როგორც სასამართლო.**

განსაკუთრებით საინტერესოა მერვე მუხლები ორივე პროექტში. „პირველში“ იგი სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება; „კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს, მათ საარჩევნო ბლოკებს, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების [illegible] გზით“.

„მეორე“ პროექტში იგივე მუხლი და[illegible]ებით ხუთნახევარჯერ მეტია. აქ ლაპარაკია არა საკმაოდ ბუნდოვან „პოლიტიკურ გაერთიანებებსა და მათ საარჩევნო ბლოკებზე“, არამედ სწორედ პოლიტიკურ პარტიებზე; მოკლედ არის [illegible]მული პარტიის განმარტება, მისი ფუნქციები და უფლებამო[illegible]ებანი. სხვათა შორის, იქვე ნათქვამია ასეთი რამ: **„საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს ისეთი პარტიები, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენენ“.**

ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს“, არის საქართველოს კომუნისტური პარტია. მან, ჯერჯერობით, ვერა და ვერ გადაწყვიტა რა სჯობს: სკკპ კალთებქვეშ შედარებით მშვიდად ცხოვრება, თუ საკუთარი არსებობის აუცილებლობის დასამტკიცებლად უკომპრომისო ბრძოლა. მართლაც ძნელი გადასაწყვეტი ამოცანაა.

აქცია მთავრობის სასახლესთან დემოკრატიული არჩევნების მოთხოვნით, გრძელდება. დარწმუნებული ვარ, საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის დღეებში იგი კულმინაციას მიაღწევს. ეროვნული მოძრაობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს „პირველი“ პროექტის დამტკიცებას, რადგან ამ შემთხვევაში წყალში გადაიყრება ყველაფერი, რისთვისაც მას დღემდე მიუღწევია. რაც მთავარია, სესიაზე „პირველი“ პროექტის გამარჯვება იქნება ანტიდემოკრატიული ძალების გამარჯვება, რაც განუსაზღვრელი დროით დაგვაცილებს ნანატრ თავისუფლებას.

ხოლო „მეორე“ პროექტის გამარჯვება პრაქტიკულად ნიშნავს კომპარტიის გავლენის სრულ მოსპობას, მმართველობის სისტემის არსებით შეცვლას. მაშინ კომპარტია იძულებული იქნება დაუყოვნებლივ გამოეყოს სკკპ-ს (ხომ გახსოვთ „მეორე“ პროექტის მოთხოვნა, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური სტრუქტურების არსებობას კრძალავს), რისთვისაც იგი უთუოდ დაიმსახურებს საკმაოდ სასტიკი „უფროსი ძმის“ უსაზღვრო რისხვას. მოკლედ, დღევანდელ ვითარებაში ჩემი აზრით, ყველაზე მეტად უჭირს კომპარტიას. ამიტომაც იგი ყოველ ღონეს იხმარს, მთელ თავის გავლენას გამოიყენებს, რომ სესიაზე როგორმე მისმა პროექტმა გაიმარჯვოს.

მეორეს მხრივ, სასწორზე დევს სრულიად საქართველოს მომავალი.

და ამ ურთულეს ვითარებაში უხდება მუშაობის დაწყება საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, რომელსაც, სამწუხაროდ, არა აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების სათანადო გამოცდილება.

**თეიმურაზ კორიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა, რომელიც სამართლიან და სამართლებრივ მშვიდობას მოგვიტანს

ამა წლის 1 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა 3 კანონპროექტი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. ამათგან მე-2 და მე-3 გვერდებზე გამოქვეყნებული (რიგით I) საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მომზადებული კანონის პროექტი სათაურშივე ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 20 ივნისის რიგგარეშე სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს პროექტი წარმოადგენს არადემოკრატიული, პრაქტიკულად ერთპარტიული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დატოვების მცდელობას საქართველოში (იხ. მუხლი № 8).

ამასთანავე, აღნიშნული კანონპროექტის მე-3 მუხლის ფორმულირება ბუნდოვანი და ორაზროვანია, რადგან საქართველოს სსრ მოქალაქედ (მუდმივ მცხოვრებად) 1990 წლის 25 მარტს ჩასატარებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისას მიჩნეულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სსრკ საოკუპაციო ჯარის შემადგენლობაც. ასე რომ, თუკი სსრკ თავდაცვის სამინისტრო არჩევნების წინ რაიმე მიზეზით რამდენიმე დღით გადმოისვრის საქართველოში ერთ-ორ მილიონ ჯარისკაცს, აღმოჩნდება, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის წევრები გახდებიან (ისინი ხომ „მუდმივად“ ცხოვრობენ საქართველოში).

რაც შეეხება ამავე გაზეთის მე-7 და მე-8 გვერდებზე გამოქვეყნებულ რიგით მე-3 კანონპროექტს, იგი იმდენად უსისტემო და წინააღმდეგობრივია (შევადაროთ და ერთიანობაში გავიაზროთ მუხლები № 29, 30 და 46), რომ ძნელია მას ვუწოდოთ პროპორციულ-მაჟორიტარული (იხ. მუხლი I). ეს კანონპროექტი პრაქტიკულად თავიდანაა დასაწერი. იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი საბჭოს სესია ამ კანონპროექტს მიიღებს და, ამასთანავე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის კანონპროექტზე მუშაობის ტემპებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ 1990 წელს საქართველოში არჩევნები არ ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ რიგით მე-2 კანონპროექტი, რომელიც უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შექმნილმა საკონსულტაციო კომისიის წევრებმა — „დას“-მა, მრგვალი მაგიდის მონაწილე ორგანიზაციებმა, რესპუბლიკურ-ფედერალურმა პარტიამ, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, საქართველოს მწვანეთა პარტიამ, საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა და აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რამდენიმე დეპუტატმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებმა და ექსპერტ-იურისტებმა — შეიმუშავეს, 12 ივლისისთვის აღნიშნული კომისიის მიერ მოწონებული და მიღებული იყო. მიუხედავად ამისა, 1 აგვისტოს გამოქვეყნდა მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციისა და არა საკონსულტაციო კომისიის სახელით.

ეროვნულ-ლიბერალური კავშირის აზრით, ერთადერთი გზა, რომელიც სამართლიან და სამართლებრივ მშვიდობას მოგვიტანს, არის „დას“-ის, მრგვალი მაგიდის, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, მწვანეთა პარტიისა და სახალხო ფრონტის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის განხილვა და მიღება და შეძლებისდაგვარად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

აღნიშნული რიგით მე-2 კანონპროექტის ძირითად ღირსებად მიგვაჩნია:

ა) საქართველოს უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) შემადგენლობა განისაზღვროს 201 დეპუტატით;

ბ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ;

გ) ბინადრობის ცენზის შემოღება;

დ) საბჭოთა არმიის წარმომადგენლებისთვის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა;

ე) პარტიის მიერ ერთმანდატიან ოლქებში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატების პარტიის ერთიან სიაში შეტანის აუცილებლობა.

**ეროვნულ-ლიბერალური კავშირის გამგეობა.**

# რამოდენიმე მოსაზრება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის გამოქვეყნებულ პროექტთა შესახებ

ყურადღებით გავეცანი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კანონის პროექტებს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. ვინაიდან მაქვს გარკვეული გამოცდილება საბჭოურ „მრავალპარტიულ“ არჩევნებში, უფრო სწორედ კი საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობისა (გახლდით 1990 წლის 25 მარტის არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატი), თავს უფლებას მივცემ გამოვთქვა რამოდენიმე მოსაზრება.

თუ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება გულწრფელად არის დაინტერესებული ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საქართველოში დღეს-დღეობით არსებული რეალობა. კერძოდ, მოსახლეობის (ამომრჩევლების) პოლიტიკური ცნობიერების განვითარების დაბალი დონე. აღნიშნული ფაქტი არ არის შემთხვევითი. მით უმეტეს, რომ მრავალი ათწლეულის განმავლობაში საბჭოური არჩევნების სამარცხვინო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა საბჭოთა ელექტორატისათვის ტიპიური რამოდენიმე მავნე სტერეოტიპი.

უმთავრესი მათგანი გახლავთ ამომრჩევლების რწმენა, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატის მოვალეობა არა საპარლამენტო (საკანონმდებლო) საქმიანობაა, არამედ იმ რაიონის (სოფლის, უბნის) კეთილმოწყობაა, რომლის მოსახლეობამაც აირჩია იგი დეპუტატად. ეს სტერეოტიპი პირველი საბჭოური არჩევნებიდან დღემდე გულმოდგინედ ინერგებოდა ამომრჩეველთა ცნობიერებაში. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვის აძლევს ხელს პარლამენტის ისეთი დეპუტატებით დაკომპლექტება, რომლებიც შეუდგებიან „კეთილი“ ოფიციოზის დახმარებით საკუთარი ელექტორატის კომუნალურ კეთილმოწყობას და აინუნშიაც არ ჩააგდებენ ურთულეს, ყოველდღიურ საპარლამენტო საქმიანობას, რომლის მიზანი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადება, განხილვა და მიღებაა ეროვნული დამოუკიდებლობის საფუძვლების შექმნისა და განმტკიცების მიზნით. რას უქადის ეს საქართველოს, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი მნიშვნელოვანწილად უზენაესი საბჭოს ახალ შემადგენლობაზე იქნება დამოკიდებული, ადვილად წარმოსადგენია.

მეორე, ასევე მეტად მავნე სტერეოტიპი, რომელიც სამწუხაროდ ძვალში და რბილში აქვს გამჯდარი ჩვენს ამომრჩევლებს, გახლავთ გულუბრყვილო აზრი, რომ საარჩევნო ოლქიდან მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრის არჩევაა მიზანშეწონილი. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს, რომ ასარჩევ კანდიდატს კარგად უნდა იცნობდეს მოსახლეობა, მაგრამ საკითხავია, განა ამისათვის მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრი უნდა იყო? რა ვიღონოთ იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო ოლქში რამოდენიმე, ერთმანეთთან საკმაოდ დაშორებული დასახლებული პუნქტია? ყოველმა მათგანმა საკუთარი კანდიდატის წამოყენება უნდა მოითხოვოს? ეს ხომ უაზრობაა! ბოლოს და ბოლოს წინასაარჩევნო კომპანია დეპუტატობის კანდიდატის უკეთ გაცნობისათვის არ ტარდება?! **ადამიანის კარგად გაცნობისათვის, მისი ეროვნული და პოლიტიკური მრწამსის ხწორი ალქმისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი შენი სოფლის (უბნის, რაიონის) მკვიდრია.** სამწუხაროდ ძალზე ხშირია, როდესაც პიროვნება სიცოცხლის უმეტეს ნაწილს სხვაგან ატარებს და დაბადების ადგილთან მხოლოდ ბავშვობის მოგონებებიღა აკავშირებს. უდავოა ისიც, რომ ადამიანის პოლიტიკური, მორალური და ზნეობრივი სახე უფრო გამოკვეთილად სამსახურის, საზოგადოებრივი საქმიანობის და არა საცხოვრებელი ან დაბადების ადგილზე ვლინდება.

ზემოთაღნიშნული სტერეოტიპი უშუალოდ გამომდინარეობს პირველიდან. კერძოდ, მოსახლეობის მიერ საკუთარი თანასოფლელის (თანაუბნელის) არჩევით ვითომდა უკეთ გადაწყდება სოფლის (უბნის, რაიონის) ავადსახსენებელი კომუნალური პრობლემები. ჩვენს ამომრჩეველს ჯიუტად და გულუბრყვილოდ სჯერა, რომ საქართველოს ახლადარჩეულ პარლამენტს კომუნალური პრობლემებისათვის ეცლება. მათ ავიწყდებათ (და ამის მათთვის შეხსენება „ეშმაკურად“ ავიწყდება ადგილობრივ და ცენტრალურ ოფიციოზს), რომ **გაზისა და წყლის გაყვანის, გზებისა და სხვა კომუნალური ობიექტების მშენებლობის საკითხები არა უზენაესი, არამედ ადგილობრივი არჩევითი ორგანოების პრეროგატივაა.** ამომრჩეველთა აქტიურობა ჭეშმარიტად დემოკრატიული ადგილობრივი ორგანოების, სტრუქტურების დამკვიდრებასა და არჩევნებში არის მხოლოდ ყველასთვის მტკივნეული კომუნალური პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზა.

ელექტორატის პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება მხოლოდ და მხოლოდ მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა გამოყენებითაა შესაძლებელი. ფრიად სამწუხაროა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელზედაც დიდად იქნება დამოკიდებული არჩევნების შედეგები, ფაქტობრივად ახლა იწყება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მინდა, გამოვთქვა მტკიცე რწმენა (იმედი მაქვს ბევრი დამიჭერს მხარს), რომ **ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული რიგით მეორე საარჩევნო კანონის პროექტის მიღების შემთხვევაში 17 აგვისტოს სესიაზე.** იმ კანონის პროექტისა, რომელიც ერთობლივად იქნა შემუშავებული ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ.

შევეცდები დავასაბუთო ჩემი აზრი. პირველი — აღნიშნულ პროექტში ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პროექტებისაგან (რიგით № 1 და № 3) განსხვავებით, ასარჩევ დეპუტატთა რიცხვი შემცირებულია 300-დან 201-მდე. გარდა ყველასათვის ცნობილი ფაქტისა, რომ პატარა რესპუბლიკის პარლამენტი არ უნდა იყოს ძალზე მრავალრიცხოვანი, მეტად საყურადღებოა ისიც, რომ პროექტით გათვალისწინებულია შექმნას მხოლოდ 101 ოლქი და არა 300 და 301 როგორც № 1 და № 3 პროექტებში. შესაბამისად სამჯერ გამსხვილდება საარჩევნო ოლქი, რაც თავისთავად ნიშნავს ოლქში გაერთიანებული დასახლებული პუნქტების რაოდენობის გაზრდას. აქედან გამომდინარე მინიმუმამდე კლებულობს „ვიწროკუთხური“ მიდგომა დეპუტატობის კანდიდატთა ღირსებათა განხილვისას და მეტი ყურადღება მიექცევა მათ და შესაბამისად იმ პარტიის პოლიტიკურ პლატფორმას, რომელმაც დაასახელა იგი დეპუტატობის კანდიდატად. **გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს მისი ეროვნული პოზიცია და პოლიტიკური აზროვნების ჰორიზონტი, ანუ ის თვისებები, რომელთა იმედადაც უნდა დავრჩეთ ყველა, რათა მშვიდად ჩავაბაროთ არჩეულ პიროვნებას საქართველოს, ქართველი ერისა და არა ჩვენი სოფლისა და უბნის კეთილმოწყობის ბედიღბალი.**

მეორე — აღნიშნული № 2 პროექტის უმნიშვნელოვანეს ღირსებას წარმოადგენს მანდატთა 50%-ის არჩევა პროპორციული სისტემით, რომლის დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს არა პიროვნებას, არამედ პარტიას (საარჩევნო ბლოკს) მის პოლიტიკურ პლატფორმას. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ამომრჩევლები ცუდად იცნობენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა თუ გაერთიანებების პლატფორმებს და ამიტომ გაუჭირდებათ სწორი არჩევანის გაკეთება. გასაკვირი ის არის, რომ ამ შეშფოთებას ოფიციალური ხელისუფლება გამოთქვამს.

ოფიციალური ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ № 1 პროექტში არჩევნების ჩატარების მაჟორიტალური სისტემით არის გათვალისწინებული. ანუ იმ სისტემით, რომლითაც ტარდებოდა არჩევნები ადრე, როდესაც ამომრჩეველი ხმას აძლევდა არა პარტიულ სიას, არამედ პიროვნებას. ადვილად გასაგებია რატომ მოსწონს ძალიან ოფიციოზს ასეთი საარჩევნო სისტემა. საქართველოს 400 000 კომპარტიის წევრიდან, განსაკუთრებით კი საარჩევნო უბნის მკვიდრი მოსახლეობიდან, ხელისუფლებას არ გაუჭირდება 300 დეპუტატობის კანდიდატის შერჩევა, რომლებიც პიროვნულად დაუპირისპირდებიან ოპოზიციის კანდიდატებს, შეიარაღდებიან ფსევდოეროვნული ფრაზეოლოგიით, აავსებენ საარჩევნო უბნის მოსახლეობას დაპირებებით გზების, ბაგა-ბაღებისა და სხვა კომუნალური ობიექტების მშენებლობის შესახებ (როგორ სრულდება ასეთი დაპირებები მშვენივრად უწყიან ამომრჩევლებმა), გამარჯვების შემთხვევაში კი გაუნაღდებენ კომუნისტურ პარტიას ძალაუფლების შენარჩუნებას.

ოფიციოზმა შესანიშნავად იცის, რომ არჩევნებში გამარჯვება მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით ძალუძს, ვინაიდან კომუნისტური პარტიის მიერ დასახელებული პიროვნებებისაგან განსხვავებით, მათ პარტიულ სიას პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებისას, ამომრჩევლების მცირეოდენი პროცენტი თუ დაუჭერს მხარს.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს პროპორციული საარჩევნო სისტემის ისეთი ღირსება, როგორიცაა უმცირესობის ინტერესების გათვალისწინება, ვინაიდან მაჟორიტარული სისტემისაგან განსხვავებით დეპუტატთა მანდატების განაწილებისას, რეგისტრირებული იქნება თითოეული ამომრჩევლის ხმა, მიცემული ამა თუ იმ პარტიისათვის ყველა საარჩევნო უბანში ერთად.

უაღრესად მნიშვნელოვანი ღირსება № 2 პროექტისა არის ბინადრობის ცენზის შემოღება, რაც გამორიცხავს იმ პიროვნებათა მონაწილეობას არჩევნებში, რომლებიც „გუშინ“ ჩამოვიდნენ საქართველოში და ვერანაირად ვერ გამოხატავენ საქართველოს ინტერესებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია № 2 პროექტის მუხლი 2, რომელიც უკრძალავს არჩევნებში მონაწილეობას ისეთ სამხედრო ან გასამხედროებული შენაერთების მომსახურეებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს იურისდიქციას. რბილად რომ ვთქვათ გასაკვირია, რომ ოფიციოზის მიერ შემოთავაზებულ № 1 პროექტში სიტყვაც არ არის ამაზე დაძრული. გამოდის, რომ საქართველოს სსრ დღევანდელ ხელისუფალთა რწმენით, არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს საოკუპაციო ჯარის ასიათასობით სამხედრო მოსამსახურემ. როგორც იტყვიან ხოლმე „კომენტარი ზედმეტია“.

რამოდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ასევე ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ № 3 პროექტს.

შევჩერდები აღნიშნული პროექტის მხოლოდ ერთ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან შეუსაბამობაზე. პროექტი დასაწყისშივე გვამცნობს, რომ არჩევნები ჩატარდება პროპორციულ-მაჟორიტარული წარმომადგენლობის საფუძველზე, მაგრამ სიტყვაც არ არის ნახსენები 301 დეპუტატიდან რამდენი აირჩევა მაჟორიტარული და რამდენი პროპორციული სისტემის საფუძველზე. 43-ე მუხლში კი შავით თეთრზე ვკითხულობთ „საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიმცემი (ერთ — ზ. მ.) ბიულეტენში შემოხაზავს იმ პარტიის.... დეპუტატობის კანდიდატის... ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას“. ხომ გეცნობათ ღრმად პატივცემული მკითხველო ტკივილამდე ნაცნობი ხელწერა. აცხადებენ ერთს და აკეთებენ საპირისპიროს. № 3 პროექტის მიხედვით არჩევნები თურმე ტარდება პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემის მიხედვით, **მაგრამ სინამდვილეში იქნება თითქმის მხოლოდ მაჟორიტალური.** რატომ? იმიტომ, რომ: 1) № 3 პროექტში არ არის გამიჯნული მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატთა მანდატები; 2) ხმის მიცემის დროს ამომრჩეველი ავსებს არა ორ ბიულეტენს, როგორც ეს № 2 პროექტშია (ერთი ბიულეტენი მაჟორიტარული — დეპუტატობის კანდიდატის გვარით და მეორე ბიულეტენი — პროპორციული პარტიული სიების ნომრებით), არამედ მხოლოდ ერთ ბიულეტენს, რომელშიაც ჩაწერილი იქნება მხოლოდ დეპუტატობის კანდიდატის გვარი (ისე როგორც წმინდა მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებისას).

საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი დაჟინებით მოუწოდებენ ქართველ ერს, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას ეროვნული თანხმობისაკენ — კონსოლიდაციისაკენ. კომუნისტური რეჟიმის თითქმის სამოცდაათწლიანი არსებობის პერიოდში, დეკლარაციული ხასიათის ასეთ მიმზიდველ მოწოდებათა ნაკლებობა არასოდეს იგრძნობა. ახლა სხვა დროა, ამიტომ შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ საქართველოს კომპარტიის, ხელისუფლების მოწოდება კონსოლიდაციისაკენ მხოლოდ დეკლარაციაა. მაგრამ ანბანური ჭეშმარიტებაა ისიც, რომ მარტო პრესასა და ტელევიზიაში ლამაზი გამოსვლებით ეს დიდებული მიზანი ვერ მიიღწევა. სიტყვა რეალური ეროვნული საქმით უნდა იყოს განმტკიცებული. სწორედ უდიდესი ეროვნული საქმის გაკეთების უნიკალური შანსი ეძლევა საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთ, დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება, ისეთისა, როგორიცაა გაზეთ „კომუნისტში გამოქვეყნებული რიგით მეორე კანონი (და არა მისი ვითომდა შეჯერებული ნაირსახეობა), 1990 წლის 17 აგვისტოს სესიაზე, ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება იქნება მხოლოდ რეალური ნაბიჯი ეროვნული თანხმობისაკენ, რომელმაც უნდა გაგვინათოს გზა საქართველოს ჭეშმარიტი და არა ცრუ დამოუკიდებლობის დიდებული ტაძრისაკენ.

**ზურაბ მარშანია,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ვეხმაურებით საარჩევნო კანონპროექტებს

„საქციო საზოგადოებას ეკუთვნის მომავალი“

# აქცია, მანეთი და ინფლაცია

[illegible]

...ეთ ფულის იმ აბსოლუტურ რა- ზუსტად ვერავინ განსაზღვრავს ... ამით ფულის გაუფასურებას ვერ შევაჩერებთ, მაგრამ შევინარჩუნებთ ... კ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი კი საკუთარი ფულის ერთეულია. ... კუთრების ნაცვლად მივიღებთ, რეალურ ნამდვილ საერთო-სახალხო საკუთრებას, რადგან აქციების მფლობელი გახდებიან უბრალო ... ბანკებს საშიში კონკურენტები ჩამოაცილა.

გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში არის მოსახლეობის მასობრ- ... ცა ბევრის დანაზოგი შეერთდება იგი დიდ კაპიტალად იქცევა“. მაშასადამე საჭიროა დანაზოგთა კონსოლიდაცია, რათა იგი მნიშვნე-

...როსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# კოოპერატორთა შეხვედრა

მედიცინის მუშაკთა სახლში ამას წინათ თბილისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით ჩატარდა დედაქალაქის კოოპერატივებისა და ქალაქის აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრა.

შეხვედრას წინ უსწრებდა ვაკის პარკში გამართული კოოპერატივების მიერ მოწყობილი საპროტესტო მიტინგი.

შეხვედრა დასაწყისიდან არაორდინალურად წარიმართა. დარბაზის წინადადებით შეიცვალა დღის წესრიგი, უარყოფილ იქნა ორგანიზატორების მიერ შეთავაზებული კრების თავმჯდომარის კანდიდატურა.

კრებამ წინ წამოწია და გააანალიზა კოოპერატიულ სექტორში შექმნილი დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა. გამომსვლელებმა, კოოპერატივის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლიან კოოპერაციული საქმიანობის დამკვიდრებას. შეკითხვებს პასუხი გასცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ.

კრებაზე აღინიშნა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ამა წლის 1 აგვისტოდან მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში (ქართულენოვან პრესაში გამოქვეყნების გარეშე) ძალაში შევიდა კანონი დამატებებისა და შესწორებების შესახებ, „კოოპერატიულ კანონში“, რომელიც არ უტოვებს კოოპერატივებს ნედლეულისა და მასალა-დანადგარების შეძენის არც ერთ კანონიერ გზას, ამ კანონის შემოღება დღევანდელ პირობებში, აიძულებს კოოპერატივებს ან დაიხურონ, ან უბიძგებს არასამართლებრივი გზით შეიძინონ მასალები, რაც უდაოდ გამოიწვევს ფასების გაზრდას და მოსახლეობის დამატებით უკმაყოფილებას.

ეს კანონი მიმართულია სამშენებლო-საპროექტო, საწარმოო, სოფლის მეურნეობისა და სხვა კოოპერატივების საწინააღმდეგოდ, ვისაც მოწესრიგებული აქვთ ანგარიშსწორება და მასალას იძენენ ფიქსირებულ ფასებში.

აღინიშნა, რომ მთავრობისა და სხვადასხვა უწყებების მიერ ბოლო წლებში შემოღებულია მთელი რიგი არაკანონიერი შეზღუდვები. სადაბეგვრო პოლიტიკაში გატარებულია მერყევი პოზიცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ საწყის პერიოდთან შედარებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 5 პროცენტიდან 35 პროცენტამდე გაიზარდა დაბეგვრის სხვადასხვა ნორმატივები, ეს აიძულებს კოოპერატივებს კომპენსაციისთვისაც გაზარდონ ფასები, რაც ბუნებრივია, ხელს არ უწყობს დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბებას საქართველოში, კლავს ინიციატივას, არ ემსახურება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოსამზადებელი პერიოდის რეალურად ჩამოყალიბებას, პროვოცირებას ახდენს მოსახლეობაში და უყალიბებს მათ კოოპერატიული სექტორისადმი უარყოფით დამოკიდებულებას.

კრების გადაწყვეტილებით უნდობლობა გამოეცხადა კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის ხელმძღვანელობას, გადაწყდა მოწვეულ იქნას ერთი თვის ვადაში რესპუბლიკის კოოპერატორთა საერთო შეკრება (სპორტის სასახლეში), შეიქმნა კოოპერატორთა უფლებების დაცვის საგანგებო კომიტეტი და მუშა ჯგუფი, ეთხოვა რესპუბლიკის ხელისუფლებას საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების შეჩერება; კრებაზე ხაზგასმით ითქვა იმაზეც, რომ თუ ეს წინადადებები არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ კოოპერატივები იტოვებენ უფლებას, გამოაცხადონ ეკონომიკური გაფიცვა-შეჩერება და სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გადარიცხვა და მიმართონ სხვა სახის აქციებს.

კრებაზე არჩეულ იქნა კოოპერატივების უფლებათა დაცვის საგანგებო კომიტეტი 21 კაცის შემადგენლობით, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორის დავით ზოდელავას თავმჯდომარეობით.

## საქართველოს კოოპერატორთა საყურადღებოდ!

ამა წლის 4 სექტემბერს, თბილისში, სპორტის სასახლეში, დღის 10 საათიდან მუშაობას დაიწყებს საქართველოს კოოპერატორთა საგანგებო ყრილობა.

ვთხოვთ, რაიონულ, საქალაქო კოოპერატიულ კავშირებს, საქართველოს ყველა კოოპერატორს მობრძანდეთ.

განხილული იქნება კოოპერაციულ სექტორში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა და დაისახება მისი აღმოფხვრის გზები.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

# კიდევ ერთხელ შაოსანთა აქციის შესახებ

**თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სამხატვრო გალერეის შენობასთან, უკვე 274-ე დღეა მიმდინარეობს შაოსანთა აქცია. ვფიქრობთ ეს უპრეცედენტო შემთხვევაა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ მსოფლიო სამართლებრივი პრაქტიკის ისტორიაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს გვანჯი მანიას ესაუბრება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი ოთარ გამყრელიძე. აქვე დავსძენთ, რომ შაოსანთა სატკივარი, ზემოხსენებული კომისიის დასკვნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ხვალინდელი სესიის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი არის... ხოლო ამ თემას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.**

**— როდის დაიწყო შაოსანთა საპროტესტო აქცია და რატომ?**

— შაოსანთა აქცია დაიწყო შარშან საქართველოს უზენაესი საბჭოს მეთორმეტე მოწვევის მეთერთმეტე სესიის წინ. ისინი წლების განმავლობაში ჩიოდნენ საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოებში და მოითხოვდნენ მათი დაღუპული შვილების საქმეთა გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას. მათ არა ერთხელ მიმართეს შესაბამის ორგანოებს თბილისსა და მოსკოვში, მაგრამ ყველგან უარით ისტუმრებდნენ. ამიტომ განცხადება გაუგზავნეს სესიას, რათა გამოყოფილიყო კომისია დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შემადგენლობით და ამ კომისიას გულმოდგინედ შეესწავლა მათი საჩივრები, გაერკვია სიმართლე...

**— იქნებ ორიოდე სიტყვით ჩამოაყალიბოთ აქციის ძირითადი მოთხოვნები?**

— შვილმოკლული დედები ეძებენ სამართალს...

**— რა გზა გაიარეს მათ აქციის დაწყებამდე და აქციის პერიოდში?**

— აქციის დაწყებამდე, როგორც ვთქვით, შვილმოკლული დედები გამუდმებით ჩიოდნენ სხვადასხვა ინსტანციაში, რამდენჯერმე მოსკოვსაც ესტუმრნენ, საიდანაც ჩამოვიდნენ გამომძიებლები და შეუდგნენ ზოგიერთი მომჩივნის საქმის შესწავლას, მაგრამ მათი მუშაობით არ არიან დედები კმაყოფილნი, ამიტომ შარშან, წლის ბოლოს მათ ახალი ხერხი იხმარეს: მიმართეს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, ამავე დროს დაიკავეს დედაქალაქში, რუსთაველის გამზირზე მდებარე სამხატვრო გალერეა და აგერ უკვე მეცხრე თვეა იქიდან ფეხს არ იცვლიან, ვიდრე მათი საკითხი განსახილველად არ იქნება შეტანილი უახლოეს სესიაზე. გამოკიდებული აქვთ სხვადასხვა ლოზუნგები, კომისიას არ მიაჩნია გამართლებულად არც ის, რომ მომჩივნებს ამდენი ხნის განმავლობაში დაკავებული აქვთ სამხატვრო გალერეის შენობა და ამის გამო დაწესებულება ვერ ფუნქციონირებს, არც ზოგიერთი ლ[illegible]გი. ყოველივე ეს ეწინააღმდეგ[illegible] დადგენილ მართლწესრიგს.

მეორე მხრივ იყო [illegible]ევები, როცა შვილმოკლულ[illegible] ჩიოდნენ, რომ მათ ავიწროებენ. [illegible]ლითად, 1989 წლის [illegible], შაბათს, ერთმა შაოსანქალმა დამირეკა შინ და [illegible], რომ წინა ღლით მათ თავს დასხმენ, დაუხიეს ჟურნალი და რამდენიმე მომჩივანი გალახეს კიდეც. მომჩივნებმა, როგორც თვითონ თქვეს, ამოიცნეს თავდამსხმელთა შორის რამდენიმე პიროვნება. მათ მიმართეს კიდევაც შესაბამის ორგანოებს, რათა მიეღოთ ზომები...

**— კომისიას მუშაობის დროს რა სიძნელეები ჰქონდა და რას მიაღწია?**

— სიძნელეები იყ[illegible] და არა ერთი და ორი. მაგალითად, გვიჭირდა საქმეების მიღება, ზოგიერთი დაწესებულება გვიჭიანურებდა საქმის გადმოგზავნას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი მოგვარდა.

**— არის თუ არა საფუძვლიანი შვილმოკლული დედების პრეტენზიები?**

— კომისიამ მუშაობა არსებითად უკვე დაამთავრა. მიღებული გადაწყვეტილებები მოწმობს, რომ შვილმოკლულ დედათა საჩივრების უმრავლესობა საფუძვლიანია. საქმეები ძირითადად არ გამოუძიებელი, ხოლო ზოგიერთი მათგანი ისე უყურადღებოდ არის მიტოვებული, რომ გიკვირს, როგორ მკვლელობის საქმის მიმართ შეიძლება ასეთი გულგრილი დამოკიდებულება.

**— გმადლობთ გულწრფელი საუბრისათვის. იმედია შაოსანთა აქცია დეპუტატთა განხილვის საგანი გახდება.**



# თავისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს

მართლაცდა, სავალალო ფაქტი მოხდა, მთელი ორი კვირის მანძილზე თვალითაც არ გვინახავს „ახალგაზრდა ივერიელი“.

ჩვენ, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) წევრებმა „ახალგაზრდა ივერიელის“ დაპატიმრება აღვიქვით, როგორც საკუთარი გაზეთის დატყვევება, რადგანაც ქართული პერიოდული პრესის ამ შესანიშნავი გამოცემის ფურცლებზე ყოველთვის ოპერატიულად იბეჭდებოდა ჩვენი კავშირის (და არა მარტო ჩვენი) მასალები.

ახლა, ალბათ, დრო არ არის მტყუან-მართლის გარჩევისა, ურთიერთბრალდებათა წაყენებისა და მით უფრო, ანგარიშსწორებისა, რადგანაც ეს მხოლოდ ჩვენი კარგად ნაცნობი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

დღეს ყველამ — თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა დავივიწყოთ ძველი უთანხმოებანი. როცა სამშობლოს განსაცდელი ემუქრება, დავა და კინკლაობა არას არგებს საზოგადო სატკივარს. პირიქით, სწორედ ახლა, ამ უმძიმესი შეჭირვების ჟამს კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა შევეცადოთ გავუგოთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. სხვა გზა არ არის, ალბათ, უხერხულია იმის მტკიცება, რომ ერთმანეთს კორექტულად უნდა მოვეპყროთ, მივცეთ ერთმანეთს სიტყვის თქმის შესაძლებლობა — მხოლოდ მართალი სიტყვის თქმისა...

ამ სატკივარზე შეიძლება უფრო მჭერმეტყველურად უსაუბრია ბევრს პრესის ფურცლებზე, დედათა მუდარაც იყო და მასობრივი აქციებიც, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს...

იქნებ ვერც ჩვენმა მოკრძალებულმა წერილმა მიაღ[illegible] მიზანს, მაგრამ ერთი რამ [illegible] ცხადია.

სიტყვის ჭეშმარიტ[illegible] თავისუფლება მხოლოდ საინფ[illegible] საშუალებათა თავისუფ[illegible] მიიღწევა.

დამოუკიდებელი, [illegible]თავისუფალი პრესა დამოუკიდებე[illegible] და თავისუფალი საქართველო[illegible] საიმედო საწინდარია.

**ზაზა ს[illegible]ულიძე,**
**სრულიად საქართ[illegible] ღვთისშვილთა კავშირის [illegible]ინვალიდთა ასოციაციის პრეზ[illegible]ტი.**

## პანტომიმის სახელმწიფო თეატრი 25 წლის[illegible]

**„ადამიანის ქმედით თვითცხადებაში სიტყვა ყველაფერზე უდიდესია... ხოლო ერთი განზომილებით სიტყვას როკვა უსწრებს წინ — ვინათგან როკვით მთელი ადამიანია აყვავებული. ითქმის: თმის ძირებითგან ფრჩხილების ნუნებამდე, გასაგებია: თუ ძველთა-ძველ დროში უზენაესის მიმართ აღტკინებულთ სიტყვა აღარ ჰყოფნიდათ და როკვაში გადადიოდნენ“.**

**გრიგოლ რობაქიძე**

# პლასტიკური დუმილის ხელოვნება





პანტომიმის ხელოვნების შორეული ტრადიცია საქართველოში კოტე მარჯანიშვილის მიერ განხორციელებულ ორ პანტომიმურ სპექტაკლს „მზეთამზესა“ და „ხანძარს“ უკავშირდებოდა. ამ სპექტაკლებიდან 1965 წლამდე საკმაო დრო გავიდა.

ქართულ არტისტულ ბუნებას თვითგამოხატვისათვის აუცილებლად სჭირდებოდა ის, რასაც სიტყვა ვერ იტევდა, ბგერა ვერ ჰწვდებოდა და რასაც მხოლოდ ამეტყველებული, აჟღერებული, მოლაპარაკე სხეული დუმილით გადმოსცემდა...

1965 წელს მუსკომედიის თეატრის მსახიობმა (ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა) ამირან შალიკაშვილმა „მაყურებელს“ უჩვენა სპექტაკლი, პანტომიმური ნოველები: — „ესეც ასე“, სათქმელად იოლი, მაგრამ საქმნელად ძნელი იმ ერთი კაცისათვის, ვინც პანტომიმის ჟანრის დამკვიდრებას წინააღმდეგობისდა მიუხედავად ჯიუტად ცდილობდა.

●

**— ბატონო ამირან, შეიძლება ეს ჩემეული დაყოფა მცდარი იყოს, — როგორ ფიქრობთ, თქვენი თეატრი გრძნობისაა უფრო მეტად თუ გონების?**

— ერთდროულად გრძნობის თეატრიცაა და გონებისაც. ჩვენ, ქართველი ხალხი ძალიან დიდი ტრაგიზმის მატარებლები ვართ და ეს ტრაგიზმი არაა გამოგონილი, სიცილისთვის არ ეცალა ქართველს, ხოლო თუ ეცალა, სევდადაყოლილი იყოს ის სიცილი...

(გაგახსენდათ ალბათ ორი სპექტაკლი: „რთველი საქართველოში“ და „კიდევაც დაიზრდებიან“).

**— ალბათ, სწორედ ქართული ხასიათის დრამატულმა ბუნებამ განსაზღვრა ის, რომ ევროპული პანტომიმისაგან განსხვავებით ჩვენში განვითარდა დრამატული პანტომიმა.**

— ფრანგმა რეჟისორმა ჟან ლუი ბარომ თქვა: ჩვენ შევძელით ლირიული და კომიკური პანტომიმის აღდგენა, მაგრამ ვერ შევძელით დრამატული პანტომიმის აღდგენა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიკარგაო. ეტყობა ჩვენში მთლიანად არ დაკარგულა ტრაგიკული პანტომიმა. როცა კოტე მარჯანიშვილმა ორი სპექტაკლი დადგა, მან თქვა, ჩვენ შევქმნით პანტომიმის თეატრს და ეს იქნება დრამატული პანტომიმაო. ალბათ, ასეთი იყო პანტომიმის ხვედრი ჩვენთან, მოგეხსენებათ, პანტომიმას იყენებენ ცირკშიც, ბალეტშიც, რუსეთში ის კლოუნადაში გადაზრდილი, დრამატულ პანტომიმას იშვიათად მიმართავენ და მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს თეატრს განსხვავებული პლასტიკა აქვს, ქართული...

●

თავდაპირველად პანტომიმის ჟანრთან დაკავშირებით ათასი წინააღმდეგობრივი მოსაზრება არსებობდა, ბევრი მიიჩნევდა, რომ ეს ჟანრი ქართული ფსიქიკისათვის არაბუნებრივად უცხო და მიუღებელი იყო, არადა, პირიქით, ქართველ კაცს ხომ პლასტიკური აზროვნების უდიდესი პოტენცია აქვს.

ადამიანი რასაც განიცდის, ყველაფერი გადმოიცემა უსაშველო მოძრაობით. პანტომიმის ხელოვნება ხომ სიტყვამდე ან სიტყვის შემდეგ წარმოშობილ პაუზაში იბადება, და ასახავს იმ უფაქიზეს მონაკვეთს, რომელიც სიტყვებს შორის არსებობს. მეტყველი სხეულის მომსახველობითა და გრძნობის გამოხატვით ის ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც სხვა დროს, სპექტაკლის გარეთ შეუმჩნეველი ლით, მიმიკით, ხელის მტევნის გა-

იქნებოდა ჩვენთვის, მაყურებლისათვის.

●

**— მინდა გკითხოთ თქვენი თეატრის ერთ-ერთ გამორჩეულ სპექტაკლზე „ფიროსმანი-მეფე“, სადაც თქვენ ფიროსმანს განასახიერებთ. თითოეული ნერვი გმირისა, მსახიობში უნდა გადასახლდეს, უნდა ბიტანო ამხელა უხმო ტრამვა — მოძრაობაში გაცხადებული... (გარდასახვა არა მაქვს მხედველობაში),**

**როგორი ყოფილა ფიროსმანი?**

— გარდასახვა ის მცნება არაა, როცა მთლიანად ტიპაჟს წარმოადგენ, საფუძველი მაინც რჩება პიროვნება. პანტომიმაში ისევე ვაზროვნებთ სახეებით, როგორც დრამის თეატრში... ასე რომ, ფიროსმანი ჩვენ გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის დუმილის კაცი იყო უფრო მეტად. ფიროსმანის ტრაგედია ის კი არ არის, რომ ის სხვაზე მეტ ნაღველს დაატარებდა, სხვაზე მეტს გრძნობდა ან უჭირდა. ფიროსმანის ტრაგედია ჩვენ ვერ გავიგეთ, ფიროსმანი ჩვენ წარმოვშვით ყოფითი მდგომარეობიდან. ჩვენს სპექტაკლში კი ფიროსმანს არავითარი კავშირი არა აქვს ყოფასთან, ის ზეცაშია ღმერთთან...

ჰოლანდიაში გასტროლებისას, სპექტაკლის შემდეგ შეხვედრები გვქონდა და საღამოებზე რომ მივდიოდი, ერთხმად ყვიროდნენ ხოლმე ფიროსმანი — King. ჩვენი აზრი, იდეა, რომ ფიროსმანი არის მეფე, გაიგეს და იმასაც მიხვდნენ; ფიროსმანი მეფე იყო იქ, სადაც ხატავდა, ეს ჩემი საუწაულად საყვარელი სპექტაკლია.

●

ჩაპლინი ამბობდა თურმე: მე მთელ ღამეებს ვათენებ ერთი მოძრაობის მოფიქრებაზე, თქვენ ერთს შეხედავთ, უცბ გაიცინებთ და წახვალთო!

●

**— ნებისმიერი აზრისა და მოქმედების გადმოცემას სცენაზე სჭირდება შესაფერისი გარემო. როგორ იქმნება დეკორაციები?**

●

— დეკორაციებსა და გადატვირთვას ვერიდებით, [illegible] ნაწრებისა და მუსიკის გარემოცვაში, უბრალოდ ასე შეიქმნა სტილი. მაგიდა და სკამი რომ არსებობს ბუნებაში, ეს პლასტიკით უნდა დაჩვენოთ მსახიობმა, გარეშოს ხომ ადამიანი ქმნის, დეკორაციებსაც ივენ თვითონვე მოძრაობით ქმნით. პლასტიკური აზროვნება ისეთი იოლია, ამიტომაც ჭიანურდება სპექტაკლები, ხოლო როცა დეკორაციის ნახაზი გაირკვევა, თამაში იოლი ხდება, შეიძლება უფრო ადვილად განვითარდეს სახე, ვიდრე გარემო.

●

პანტომიმა ზენიტზე ადის მაშინ, როცა ხალხს უკრძალავენ სიტყვის თქმას, როცა დაგუბებულ ცრემლს დაატარებს ერი, როცა გთრგუნავენ, სახიერი დუმილით უნდა იბრძოლო, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ჯერ არ ასულა ზენიტზე...

თუმცა, იტყვის თავის სათქმელს იმ დუმილში, რომელიც უკვე წუხილად გვექცა.

●

**— თუ არ ვცდები, თქვენთან იმდენი მსახიობია, რამდენიც საჭიროა.**

— ჩვენთან რჩებიან ისინი, ვინც უძლებს ამ მეტად შრომატევად საქმეს, რომელიც უდიდეს ძალისხმევასა და ნებისყოფას მოითხოვს, მეორეც, პანტომიმის თეატრი არასოდეს არ იქნება დაბერებული, აქ საშუალო თაობაც ვერ გაჩერდება ალბათ, ეს თეატრი ყოველთვის შერჩება ახალგაზრდულ სულს.

ვინც ახლაა თეატრში, მათ საოცრად უყვართ ეს ჟანრი, გარკვეულმა ნაწილმა თავისი მხრებით მოიტანა ეს თეატრი: კირა მებუკე (თეატრის მთავარი რეჟისორი) და უნიჭიერესი მსახიობი გიორგი ოსიეფაშვილი. შემორჩა სულ წინა თაობიდან თეატრს, გვყავს ძალიან ნიჭიერი თაობა, რომელთაც „კრიმანჭული“ ითამაშეს. პაატა ცქურიშვილი, ლაშა ონიანი, კახა ბაკურაძე, ლევან კურტანიძე და ინგა სალარიძე, ესენი 12 იყვნენ და ხუთიღა დარჩა ჩვენთან.

ჩვენ ვცილდებით ტრადიციულ პანტომიმას და ვუახლოვდებით პოეტურ პლასტიკას ახალ სპექტაკლში, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზეა აგებული. ეს თავისებური სიახლე იქნება ჩვენი თეატრისათვის. რაც შეეხება კლასიკას, შექსპირიდან მხოლოდ და მხოლოდ „მაკბეტის“ თამაში შეიძლება, რადგან პანტომიმის ჟანრს არ უყვარს გაწელილი მოქმედებები, ნაწარმოები უდიდესი ემოციით უნდა დაიტვირთოს, ამიტომაა, რომ რეპერტუარი მაქსიმალურად შევამცირეთ და ამ რეპერტუარმა უნდა იცოცხლოს...

●

პანტომიმის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლები: ამირან შალიკაშვილი „კიდევაც დაიზრდებიან“, „კრიმანჭული“ „მომავლის იმედით“, გურამ დოჩანაშვილის „ფიროსმანი — მეფე“

**ქეთევან სადღობელაშვილი**

# მისასალმებელი ნაბიჯი

„ამ ბოლო დროს, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, მრავალი სხვადასხვა საზოგადოება სდგება ხოლმე ჩვენში სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად“ — წერდა დიდი ილია საუკუნის წინ და უწინარესად იმ საზოგადოებრივ გაერთიანებებს გულისხმობდა, რომლებმაც მიზნად დაისახეს სწავლა-აღზრდის პრობლემების მოგვარება. ...ჩვენდა სამწუხაროდ, ეროვნული სკოლის ბევრი პრობლემა დღემდე გადაუჭრელია და იგი ახალ დროში ახლებურად წარმოჩნდა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ მოწმენი ვართ ახალი ასოციაციებისა თუ კავშირების შექმნისა. მიმდინარე წლის 3 ივლისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის მიმართვა, რომელშიც მართლაც რომ სრულიად საქართველოს მასწავლებლების გულისტკივილია ჩადებული, საინიციატივო ჯგუფის წევრებს, როგორც მიმართვის ტექსტიდან ირკვევა, კეთილშობილური მიზანი დაუსახავთ: ისეთი საზოგადოებრივი კავშირის შექმნა, რომელიც აქტიურად ჩაებმება ქართული ეროვნული სკოლის გაჯანსაღებისათვის, განათლების სისტემაში ფესვგადგმული დამახინჯების, პროტექციონიზმის, კორუფციის, ძმაბიჭობის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

განათლების სფერო, ამას დღეს ყველა აღიარებს მძიმე სენითაა შეპყრობილი და საზოგადოებრიობამ ხმა თუ არ ამოიღო, წამალი ხსნისა არ მოიძია, სკოლის მოვლა-პატრონობა უპირველეს საქმედ არ გახადა, ერის მომავალი სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება. განგაშის ზარმა დიდი ხანია ჩამოჰკრა, მაგრამ სამწუხაროდ, სკოლა ყურადღების მიღმა დარჩა, საზოგადოება სკოლას გაემიჯნა, მოსწავლე-მასწავლებლებს. ეს მეტად საშიში სიმპტომია და ნახევარზომები, სახელდახელო გადაწყვეტილებები, საზოგადოების თვალის ასახვევად შემუშავებული პროგრამა საქმეს ვერ უშველის, ამაში ცხოვრებამ არა ერთხელ დაგვარწმუნა, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. თავი და თავი ჩვენი უბედურებისა, განათლების სფეროს სავალალო მდგომარეობისა, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ სკოლა დღემდე ვერ განთავისუფლდა იდეოლოგიური დიქტატისაგან, განათლების სისტემა — არაკომპეტენტური კორუმპირებული კადრებისაგან. დანაშაულებრივად ჭიანურდება სასკოლო რეფორმა, არადა, საყოველთაო — სავალდებულო საშუალო განათლებას კარგახანია ყავლი გაუვიდა, ცოდნამ ფასი დაკარგა, ჩვენ თვითონ შევაჩვიეთ ახალგაზრდები სიზარმაცეს, უსაქმურობას, უფროსისადმი, პედაგოგისადმი უპატივცემულობას. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს უცოდინარ, პროტექციის მოიმედე აბიტურიენტთა დიდი ნაკადი მოაწყდა, და სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა ძალას მიმართა. სამედიცინო ინსტიტუტის გახმაურებულ ინციდენტს მრავალი გარემოება განაპირობებს და ყველაფერს აბიტურიენტებს, მათ მშობლებს ნუ დავაბრალებთ. როცა აბსოლუტური უცოდინრობა, რალაც მანქანებით, ინსტიტუტის აუდიტორიისაკენ იკვლევს გზას, სხვებსაც უჩნდებათ სტუდენტობის სურვილი, თუმცა, არც ცოდნით, არც ნიჭით ამას არ იმსახურებენ.

როცა ორგვლივ განუკითხაობა ბატონობს და ასე გრძელდება წლების მანძილზე, ბუნებრივია, პატიოსან, ობიექტურ პედაგოგს სკოლისაკენ გული აღარ მიუწევს. შელახულია მისი პროფესიული თავმოყვარეობა, იგნორირებულია ახალი აზრი, ზემდგომ ინსტანციამდე ვერ აღწევს პედაგოგიური კოლექტივის საქმიანი შენიშვნები და ანგარიშგასაწევი წინადადებები... დიქტატი და კაბინეტური მმართველობა კარგს არაფერს მოგვიტანს, უნდა შეიქმნას პედაგოგის ხელშეუხლებლობის გარანტიები, შემოქმედებითი, თავისუფალი მუშაობის ატმოსფერო, გამონახოს სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობანი.

ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხთა მოგვარებას იმედია, ხელს შეუწყობს საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირი, რომლის დამფუძნებელი კრება, როგორც საინიციატივო ჯგუფის განცხადებიდან ირკვევა, შემოდგომაზე გაიმართება. ამგვარი კავშირის შექმნა უთუოდ მისასალმებელი ნაბიჯია და, ეჭვი არ არის, საინიციატივო ჯგუფს მხარში ამოუდგება რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობა.

**ზურაბ ნაცვლიშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# დეპუტატები ითხოვენ!

წავიკითხეთ რა „ახალგაზრდა ივერიელის“ 1990 წლის 5 ივლისს გამოქვეყნებული ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი მშენებელთა პროფკავშირის საზოგადოებრივი კლუბის მოწოდება, ჩვენ, სამშენებლო დარგის სახალხო დეპუტატები ერთხმად ვუერთდებით მიუსერაში ე. წ. „გორბაჩოვის დაჩის“ მშენებლობის შეჩერებას, სანამ ის არ გადაეცემა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და დასვენებისათვის.

მოვითხოვთ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ პრესის საშუალებით განგვიმარტოს, აუხსნას ყველა მშენებელს და მემონტაჟეს ქონდა თუ არა ადგილი საკავშირო მთავრობის მიერ მიუსერაში 480 ჰა მიწის მუდმივ მფლობელობაში გადაცემის თხოვნის ფაქტს, ვის ეკუთვნის ან რისთვისაა განსაზღვრული ხსენებული ობიექტი, რა პოზიცია გააჩნია ამ საკითხზე საქართველოს მთავრობას, რადგან ეს ვნებათა ღელვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის საკითხს, მის შემდგომ ბედს შეეხება, გარკვეული იქნება.

**რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები:**
**ავთანდილ ინასარიძე,**
**შირინა აბაშიძე,**
**ვარძენტი აბზიანიძე.**


სამყარო — ღვთის საჩუქარი

გამოვიდა საქართველოს მწვანეთა გაზეთი — „დედამიწა“. იგი იხსნება შესანიშნავი სიმბოლური ნახატითა და ასევე შესანიშნავსათაურიანი სარედაქციო წერილით „სამყარო — ღვთის საჩუქარი“. აი, რა წერია ამ წერილში: „სამყარო საჩუქარია, შემოქმედმა რომ უძღვნა ადამიანს. ადამიანი ვალდებულია: იყოს მადლიერი მადლისა და საჩუქრის გამო. ალავლენდეს მოწიწებას ღვთის მშვენიერი და იდუმალი, წმინდა და მწყობრი, მრავალფეროვანი ქმნილების მიმართ...

...თუ ჩვენ გვინდა გადარჩენა, უნდა გადავარჩინოთ ბუნება!..

გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილია მწვანეთა პარტიის სპიკერის ზურაბ ქვანიას წერილი, მწერალ ნაირა გელაშვილის სიტყვა, წაკითხული 26 ივნისს საერთო კავკასიურ სემინარზე, აგრეთვე პაატა ამონაშვილის, რევაზ ხუნწარიას, მედეა თავდიშვილის წერილები და ინფორმაციები.

გაზეთის რედაქტორია ეთერ მაისაშვილი, ფასი — 50 კაპიკი. იყიდება „სოიუზპეჩატის“ საგაზეთო ჯიხურებში.

# ახალგაზრდული კავშირი არჩევნებისათვის ემზადება

**ბარკვეული** დროით განშორების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ ბარამიძე კვლავ დაუბრუნდა მისთვის ჩვეულ სახლს მაჩაბლის ქუჩაზე. მართალია, ახლა იგი უფრო პატარა ოთახში — თავისი ყოფილი საორგანიზაციო განყოფილების გამგის კაბინეტში იმყოფება. ფეხითაც ხშირად უწევს სიარული: მთელ ხელმძღვანელობას მხოლოდ ერთი სასამსახურო მანქანა დარჩა. თუმცა 30 წლის ბრგე ვაჟკაცს ჯანი არ აკლია. შეიძლება, თავის დროზე სპორტით გატაცებამაც იმოქმედა — რაც უნდა იყოს, სპორტის ოსტატის კანდიდატია ცურვაში, გვარიანი დრო მიაქვს დისერტაციაზე მუშაობასაც, რომელიც საქართველო-სომხეთის შუა საუკუნეების პერიოდის ურთიერთკავშირს ეხება. და მაინც, მისთვის მთავარია ახალი კავშირის ჩამოყალიბება.

**—დღეს ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ სახელწოდება შეიცვალა. რომ ცვლილებები მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათისაა...**

— ჩვეულებრივ მიღებულია რეალური, კონკრეტული საქმეებით მსჯელობა. თუმცა, ვისაც ჯიუტად არ სურს მათი შემჩნევა, მაინც არ მოისურვებს დაინახოს აშკარა ცვლილებები. და პირიქით, ობიექტური ადამიანი არ უარყოფს იმას, რაც მის თვალწინ ხდება. მაგრამ, ერთ-ერთი უცილობელი ფაქტორი ასეთია — ჩვენი ორგანიზაცია, ლამის ერთადერთია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, რომელმაც შეძლო თვითგამორკვევის რთულ, გარდამავალ პერიოდში თავიდან აეცილებინა რეგიონული კონფრონტაცია, ახალგაზრდობის დაპირისპირება ეროვნული ნიშნის მიხედვით. სხვაგვარად იყო, მაგალითად, ბალტიისპირეთში: ჯერ რუსულენოვანი მოსახლეობის ნაწილმა გამოაცხადა, რომ შექმნა თავიისი კომკავშირი, შემდეგ კი უკვე ლიტვის კომკავშირი გაჩნდა.

ხშირად გვეუბნებიან: „თქვენმა კავშირმა თავისი ცხოვრება ნულით უნდა დაიწყოსო...“ მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენ ვიწყებთ მინუს 70-ით. ჩვენგან განსხვავებით ახლახან შექმნილ პარტიებსა და მოძრაობებს არ აწევთ განვლილი შვიდი ათწლეულის შეცდომათა ფსიქოლოგიური ტვირთი. როგორც ეს მოუვიდა კომკავშირს, რაც გარკვეულწილად ართულებს ჩვენს მდგომარეობას და მუშაობას. და მაინც, სიძნელეები არ გვაშინებს.

**— როგორ იცვლება ორგანიზაციის სტრუქტურა, გყოფნით თუ არა სახსრები ნორმალური არსებობისათვის?**

— ვსწავლობთ მეურნეობრიობას, კავშირში წარმოდგენილია სხვადასხვა სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება, ვითარდება პარტნიორობა ტურისტულ ფირმებთან — და ეს ყველაფერი გარკვეულ შემოსავალს გვპირდება, მათ შორის სავალუტოს.

ჩვენი კავშირი განთავისუფლდა ცენტრის დიქტატისაგან, და ახლა დამოუკიდებლად ამყარებს კონტაქტებს, ავითარებს თანამშრომლობას ქვეყნის და საზღვარგარეთის სხვადასხვა ორგანიზაციასთან, კავშირის საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს სათათბირო, უწინდელი განყოფილებების ნაცვლად შეიქმნა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, კულტურისა და სპორტის, ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი და სხვა კომისიები. არ დავმალავ: კავშირიდან წავიდა ბევრი ადამიანი, რომელთა ნაწილი, შესაძლოა იმედოვნებდა, რომ აქ სწრაფად „გაიკეთებდა კარიერას“, როგორც წინათ იყო.

**—როგორ აფასებთ რესპუბლიკის ახლანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას. როგორ გესახებათ სხვა პარტიებთან და მოძრაობებთან ურთიერთობის პერსპექტივები?**

— დღევანდელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცალკეული არაჯანსაღი გამოვლინებების გამო დიდი შეშფოთება და შიში გამოვთქვით ამასწინანდელ მიმართვაში, რომელიც საქართველოს ტელევიზიით გადმოიცა. სამწუხაროდ, ბოლო არ უჩანს ჯიუტ დაპირისპირებას, პირადი ამბიციების გამოვლენას. ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, რომ ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილში შეინიშნება გარკვეული გულგატეხილობა და ეროვნული მოძრაობისაგან რამდენადმე განზე გადგომა. ამ დროს კი ძნელი წარმოსადგენია ეს მოძრაობა ჯანსაღი, ინტელექტუალური ნიჭიერი ინტელიგენციის გარეშე.

არ ვაპირებთ ვინმეს დავუპირისპირდეთ, ან სახელი გავუტეხოთ. ვფიქრობთ, არ შეიძლება თვითმიზანი იყოს მექანიკური კონფრონტაცია, ვთქვათ, მთავრობასთან. ისევე როგორც განუწყვეტელი კრიტიკა რაიმე მიზეზის გამო ან უმიზეზოდ, მხოლოდ და მხოლოდ რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ქულების მოსაგროვებლად. სხვა პარტიებთან და გაერთიანებებთან მზად ვართ ჩვენი დამოკიდებულება წარვმართოთ პარიტეტულ საწყისებზე. მაგალითად, შეიძლებოდა გაგვეერთიანებინა ძალები, რათა შეგვეჩერებინა ახალგაზრდობის დამნაშავეობის ზრდა, სადაც, დარწმუნებული ვარ, საჭიროა სამართალდამრღვევთა სოციალური ფესვების სწორი ანალიზი და საჯარო განხილვა, იმის განხილვა, რაზეც ასე დიდხანს და მორცხვად ვდუმდით. სხვათა შორის, ვაპირებთ უახლოეს მომავალში ვალუტით შევიძინოთ ინგლისური პრეპარატი იმ ადამიანების სამკურნალოდ, ვისაც სურს ნარკომანობას დაანებოს თავი.

**— რა პოზიცია გიკავიათ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემოდგომის არჩევნების მიმართ?**

— საქართველოს ახალგაზრდული კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მონაწილეობას არ მივიღებთ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში. ყურადღებით შევისწავლეთ საარჩევნო კანონით გამოქვეყნებული პროექტები და ყოველი მათგანის მიმართ გვაქვს შენიშვნები. თუმცა კვლავ არასწორად მიმაჩნია არჩევნების ბოიკოტი, თუ იგი მრავალპარტიულობის საფუძველზე მოეწყობა. ჩვენი ორგანიზაცია მიიღებს მასში მონაწილეობას, მაგრამ არა რომელიმე ბლოკში ან ალიანსში. დაასახელებს იმდენ კანდიდატს, რამდენსაც ექნება წარმატების მოპოვების შანსი.

17 აგვისტოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ უნდა მიიღოს კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ. მისი შედეგების მიხედვით შეიქმნება სრულუფლებიანი პარლამენტი, რომელიც დასახავს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს, განსაზღვრავს საქართველოს ხვე-ბედს, მომავალს. (საქინფორმი).

ალტერნატიული კუთხე

# სრულიად საქართველოს, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 17 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მორიგმა სესიამ უნდა განიხილოს კანონპროექტები უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, სახალხო ერთიანობის პარტია — მშრომელთა კავშირი თავს მოვალედ თვლის განაცხადოს შემდეგი:

იმის გამო, რომ დღემდე არ არის გამოქვეყნებული — 1. კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ და 2. კანონპროექტები საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა ფუნქციონირების შესახებ, თუმცა კანონპროექტებში უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საუბარია „საქართველოს მოქალაქეობის“, „პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების, ბლოკების, მოძრაობების“ თაობაზე, ისე რომ, სათანადო კანონები არ არსებობს, იქმნება საშიშროება—კანონი უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და მაშასადამე, თვით არჩევნებიც ჩაითვალოს არაუფლებამოსილად, რადგანაც არ ექნებათ აუცილებელი იურიდიული საფუძველი აღნიშნულ კანონთა სახით.

ყოველივე ამან, შესაძლებელია, უკვე წინასაარჩევნო პერიოდში შექმნას არასასურველი დაძაბულობა ქვეყანაში, ხოლო არჩევნების შემდეგ დამარცხებულ მხარეს მისცეს არჩევნების შედეგების გაპროტესტების შესაძლებლობა, რითაც აუცილებლად ისარგებლებენ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ძალები. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო ერთიანობის პარტია — მშრომელთა კავშირი, მოუწოდებს რა სრულიად საქართველოს, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს ერთიანობისა და ურთიერთთანადგომისაკენ, მოითხოვს:

უზენაესი საბჭოს ა. წ. 17 აგვისტოს სესიაზე განხილულ და დამტკიცებული იქნეს შემდეგი კანონები:

1. საქართველოს მოქალაქეობის,
2. საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა ფუნქციონირებისა და
3. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

**საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტია — მშრომელთა კავშირი**

**თბილისი. 1990 წლის 13 აგვისტო.**

# „თემის საბჭოს“ სოციალურ-ეკონომიკური კომისიის განცხადება

როგორც ცნობილია, გარკვეული კონფლიქტური სიტუაციის გამო, ყაზბეგის რაიონში გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ აღარ მოგვეცემოდა საშუალება დაღესტნის ასსრ ტერიტორიაზე ცხვრის გამოზამთრებისა.

ყოველგვარი მითქმა-მოთქმის თავიდან აცილების მიზნით, „თემის საბჭოს“ სოციალურ-ეკონომიკური კომისია გაცნობებთ: 6 აგვისტოს ყაზბეგში, საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მოხდა. შეხვედრა დაღესტნის ასსრ ავარელი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც ავარელთა წარმომადგენლებმა აღგვითქვეს, რომ ცხვრის გამოზამთრება ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე შეუფერხებლად იწარმოებს, ხოლო კონფლიქტურ სიტუაციაში გარკვევისათვის და მისი საბოლოო მოგვარებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

**მირიან წიკლაური,**
**„თემის საბჭოს“ სოციალურ-ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე.**

# ARBURG

**საქართველოს** ახალგაზრდული კავშირი დღითი-დღე აფართოებს საერთაშორისო კონტაქტებს. მასთან თანამშრომლობის სურვილი უჩნდება მრავალ საზღვარგარეთულ ფირმას. მათ შორისაა მსოფლიოში ცნობილი, დასავლეთგერმანული ფირმა „არბურგი“ რომელიც, უახლოეს მომავალში, გვპირდება დააფინანსოს ჩვენი ღონისძიებები დასავლეთ ევროპაში. ვთავაზობთ ჩვენი მომავალი პარტნიორის რეკლამას და ვფიქრობთ, რომ საქართველოში კერძოდ კი სამრეწველო სფეროში აუცილებლად გაჩნდება ინტერესი ხსენებულ ფირმასთან თანამშრომლობისა.

ინოვაცია, ნოუ-ჰაუ-ხარისხი
ეს სამი ტერმინი განსაზღვრავს ფირმა „არბურგის“ საქმიანობას, ფირმისა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს საშუალო და მცირე გაბარიტების პლასტმასის ჩამოსასხმელი მანქანების წარმოების სფეროში. ფირმას აქვს თავისი ფილიალები საფრანგეთში, სინგაპურში, ესპანეთში, აგრეთვე 74 წარმომადგენლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

პლასტმასა დღეს განუყოფელია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისაგან. ადამიანი მასთან შეხებაშია ოჯახში, მსუბუქი მანქანების წარმოებაში, ელექტრონიკაში, თითქმის ყველა სფეროში. „არბურგის“ პირმშო მანქანები ე. წ. „ოლრაუნდერები“ („უნივერსალები“) რომლებიც საუკეთესო ხარისხით გამოირჩევიან და აბსოლუტურად კომპიუტიზირებულია, უზრუნველყოფენ საბაზო სუბსტანციების გარდაქმნას სხვადასხვა ფერის, ფორმის და შემადგენლობით ჩამოსასხმელ ნაწილებად, ჩვენს ყოველდღიურობაში რომ პოულობენ გამოყენებას.

დღეს „არბერგის“ წილი მსოფლიო ბაზარზე მცირე და საშუალო მანქანების მხრივ 60 პროცენტს შეადგენს.

შვარცვალდის ულამაზეს მხარეში, ფროდენტატის მეზობლად, დაბა ლოსბურგში მდებარეობს „არბერგის“ საბაზო წარმოება, სადაც 110 კაცია დასაქმებული.

მაშ, ასე, „არბერგი“ ელის თავის მომავალ პარტნიორებს საქართველოდანაც, რომლის ბუნებაც აგრერიგად წააგავს შვარცვალდის განუმეორებელ ლანდშაფტებს.

ფირმასთან დაახლოების მსურველებმა მიმართონ საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს.

**მისამართი:** თბილისი, მაჩაბლის ქ. № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნუ ვძარცვავთ ველოდრომს

თავის დროზე ევროპიდან მსოფლიო ჩემპიონად დაბრუნებულ ველოსპრინტერს, ომარ ფხაკაძეს, ქართველმა გულშემატკივარმა თბილისის აეროპორტში ზღაპრული შეხვედრა მოუწყო. ყვავილებში ჩაძირული ომარი ღია „კოლხოზნიკში" იჯდა. ველოსიპედი კი, რომლითაც ჩემპიონობა მოიპოვა, წინ დაემაგრებინათ. ავტომანქანების საზეიმო კოლონას, ბოლო არ უჩანდა. ასეთად დაამახსოვრდა ომარ ფხაკაძეს 1965 წლის შემოდგომის ის შორეული დღე.

განვითარებულ (ასევე განვითარებად) ქვეყნებში, მსოფლიო ან ოლიმპიურ ჩემპიონებს პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, მეფეები. პირადად უწყობენ შეხვედრებს და ულოცავენ დიდ წარმატებას (არაფერს ვამბობთ იმ სოლიდურ ფულად და სხვა ნივთიერ ჯილდოზე, რასაც კანონიერად იმსახურებენ ჩემპიონები).

როცა ომარი ჩემპიონი გახდა, ჩვენში მაშინ არც პრეზიდენტები იყვნენ, არც პრემიერები (არც არაფორმალები) და მითუმეტეს მეფეები ამიტომ შინ დაბრუნებული ომარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მიიღო. მათი დიალოგი „ოქროს თევზისა და მებადურის" დიალოგს ჩამოგავდა:

— მთხოვე რაც გსურს და ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ! (მაშინ განუსაზღვრელი იყო პირველის ძალაუფლება).

— ველოდრომი ააშენე თბილისში.

— სხვა არაფერს მთხოვ? — გაუკვირდა თურმე ბატონ ვასილს.

— ისეთი ველოდრომი ააშენე, მსოფლიოში თუ არა, ევროპაში მაინც რომ იყოს ერთ-ერთი საუკეთესო!

— ეგ ძნელი არ არის! კიდევ მთხოვე რამე! — თხოვნით მიმართა პირველმა პირველს.

— კიდევ!... — უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა — მსოფლიო ჩემპიონს სიწითლემ გადაურბინა — კიდევ, აქტიური სპრინტიდან რომ წავალ, იმ ველოდრომზე მამუშავე.

ცეკას მდივანი პირველად ხედავდა სპორტსმენს, რომელიც



არ თხოვდა დაპერილი ბიძაშვილის გამოშვებას, ძმის (ან ცოლის ძმის) ტაქსების გარაჟის დირექტორად დანიშვნას, არ თხოვდა ბინას, აგარაკს, „ვოლგას" და სპორტიდან წასვლის შემდეგ „ობეხეში" ან ვაჭრობაში მოწყობას. მსოფლიო ჩემპიონი ველოდრომის აშენებას ითხოვდა. ველოდრომისას, რომელსაც ვერც შვილებს დაუტოვებდა მემკვიდრეობით, ვერც გაცვლიდა და მითუმეტეს ვერც გაყიდდა, და ეს მაშინ, როცა საქართველოში კორუფციამ, ჩრდილოვანი ეკონომიკის სიმძლავრემ თავის კულმინაციას მიაღწია. ასეთი სპორტსმენი ჯერ არ ენახა ცეკას პირველ მდივანს და გული აუჩუყდა (საერთოდ გულჩვილი კაცი იყო ბატონი ვასილი), თვალზე მომდგარი ცრემლი სტუმრისათვის რომ არ ეჩვენებინა, ფანჯრისკენ შეტრიალდა, შემდეგ ყურმილი აიღო და სადღაც დარეკა, ჩემპიონს მადლობა გამოუცხადეთ პირად საქმეში შეტანით და ღირსეული ფასიანი საჩუქრითაც დააჯილდოვეთო.

მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიო ჩემპიონს „სპიდოლა" გადასცა.



ევროპისა და ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ველოსპორტი ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორც მაგალითად ბრაზილიაში ფეხბურთი. ამიტომ გასაკვირი არ იყო, თუ იტალიაში ომარს ტაქსისტები სახეზე ცნობდნენ, საფრანგეთში ველოსპორტის მოყვარულ ბავშვებს მსოფლიო ჩემპიონის პორტრეტი საწოლთან ეკიდათ, მექსიკაში კი ფანატიკოსი გულშემატკივარი მშობლები თავიანთ ახალშობილ ვაჟიშვილებს ომარს არქმევდნენ.

ველოსპორტი პოპულარული არ იყო მხოლოდ საქართველოში.

●

ველოდრომს, ნახევარრკალად გასდევს მოასფალტებული სავარჯიშო ტრასა, რომელიც უნივერსიტეტის ქუჩის პირას, სასტუმრო „ამირანთან" ფართო ვირაჟს აკეთებდა. ტრასის გასწვრივ მაღალი ბოძებია ჩამწკრივებული განათებისათვის. ეს მოასფალტებული ტრასა, რომელიც 160 ათასი მანეთი დაჯდა აუცილებელი იყო სპრინტერთა სპეციალური ვარჯიშებისა და ფიზიკური მომზადებისათვის. მაშინ როცა ომარ ფხაკაძე ფილმის გადაღებებზე იყო, ვიღაცამ სასწრაფოდ დაანგრია ტრასა, ვირაჟის ნაწილი და რესტორნის მშენებლობა დაიწყო. ომარ ფხაკაძე რომ თბილისში ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ამას ვერავინ გაბედავდა. ახლა იქ რესტორნის უზარმაზარი შენობა დგას, დანგრეული და გაპარტახებული ტრასა კი საცოდავად გამოიყურება, ხოლო სპორტსმენები იძულებულნი არიან ივარჯიშონ ავტომანქანებით გაჭედილ ქუჩებსა და გზატკეცილებზე. ყოველი მათი ასეთი ვარჯიში ხიფათთან თამაშს წააგავს. ბოლოს და ბოლოს ეს ჭაბუკები ველოსპრინტერები არიან და არა კასკადიორები. სავარჯიშო ტრასა დღესაც დანგრეულია და მის აღდგენაზე არ ფიქრობს ის, ვინც გააპარტახა. იქვე რესტორნის მოშორებით სასტუმრო „ამირანის" გვერდით ბენზინის გასამართი სადგური შენდება, რომელიც არა მარტო ემიჯნება სავარჯიშო ტრასას, არამედ მის გარკვეულ ნაწილსაც იკავებს. მომავალი ბენზინის გასამართი სადგურის მესვეურნი ამტკიცებენ, რომ გენერალური გეგმის მიხედვით ეს არ შედის ველოდრომის ტერიტორიაში. შესაძლოა ასეც არის, ე. ი. ვიღაცამ (ან ვიღაცეებმა) ველოდრომის საზღვარი ისე გადაწიეს, რომ მასში სავარჯიშო ტრასის ნაწილიც მოაყოლეს, რაც ან დიდი უაზრობაა, ან განზრახ ჩადენილი დანაშაული. ასეა თუ ისე, ობიექტური სურათი დღეს ასეთია. ბარდიური, რომელიც მოასფალტებული ტრასის ზღვარს აღნიშნავდა, ვიღაცას უფრო შიგნით გადაუწევია, ხოლო განათების ბოძი ტრაქტორით, თუ სხვა მძიმე მანქანით წაუქცევია. აშკარად ჩანს, რომ ეს ადგილი მშენებლობის ფრონტისთვის მოუმზადებიათ. ველოდრომის ჩრდილოეთით, მის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ დავით პერტენავას თავმჯდომარეობის დროს აშენდა უშველებელი გარაჟი. ჩრდილო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ამ უნიკალურ სპორტულ ნაგებობას ნახევარ წრედ ემიჯნება საბურთალოს სასაფლაო, რომლის რკალი დღითი-დღე ვიწროვდება და მალე, ალბათ, საფლავებს სავარჯიშო ტრასაზეც გაჭრიან. ველოდრომის აღმოსავლეთ ნაწილში კი რა მდგომარეობაც არის ამის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ.

თბილისის ცენტრალური ველოდრომი საქართველოს სპორტსახკომის დაქვემდებარებაში შედის და თუ არა ეს სოლიდური ორგანიზაცია, მაშ ვინ უნდა დაიცვას ყოვლად შევიწროვებული სპორტული ბაზის ინტერესები. სპორტსახკომს კი გასაოცრად ნეიტრალური პოზიცია უკავია. პირდაპირ გვაოცებს ამ ორგანიზაციის გულგრილობა, მაშ რისთვის არის სპორტსახკომი თუ კი იგი არ დაიცავს სპორტსმენებისა და სპორტული ბაზის ინტერესებს?

●

ოთხასი წლის წინათ წინასწარმეტყველმა ნოსტრადამუსმა თქვა, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოსათვის მსოფლიოს ძლიერი ენერგეტიკული კრიზისი მოიცავს (რისი ტენდენციებიც უკვე მკვეთრად შეიმჩნევა) და ადამიანები გადაადგილების უძველეს საშუალებებს დაუბრუნდებიანო. ნოსტრადამუსი ჯერ არ შემცდარა, ახდა მისი ყველა წინასწარმეტყველება, ასე რომ ადამიანებო, გაუფრთხილდეთ ცხენს და ველოსიპედს.

●

სამოციანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში კარგა ხანს პირზე ეკერათ ომარ ფხაკაძის სახელი. სპეციალისტებს და გულშემატკივრებს ღრმად სწამდათ, რომ ომარის ჩემპიონობა გაზრდიდა ველოსპორტის ავტორიტეტს, ხელს შეუწყობდა სპორტის ამ მართლაც ვაჟკაცური და საინტერესო სახეობის განვითარებას...

გადიოდა დრო. მჟავანაძე სიტყვის პატრონი გამოდგა, მართალია, წავიდა, მაგრამ მისი სახელის კეთილად მოსაგონებლად თბილისს საუკეთესო ველოდრომი დაუტოვა.

მოვიდა ახალი ცეკას მდივანი და ახალმა სიომ დაბერა. დაიწყო დაჭერები. ციხეები საქმოსნებით გაივსო. როგორ შეიძლება სხვის უბედურებაზე ხუმრობა და ენაკვიმატი ქუთაისელები მაინც ხუმრობდნენ — „ციხეში ახლა ისეთი მაღალი კონკურსია, ცეკას ლიმიტითაც კი ძნელი გახდა მოწყობაო"...

პარტიის კურსი ისეთი იყო, არავის უნდა შერჩენოდა არამბ ლუკმა, პატიოსან მშრომელს და გლეხს ხელფასზეც ბედნიერად უნდა ეცხოვრა, მაგრამ მწარედ ცდებოდნენ ენთუზიასტები, დაჭერებით ბედნიერი ცხოვრება ვერ შექმნეს. ჩრდილოვანი ეკონომიკა ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა, ნაწილობრივ კი რესპუბლიკიდან გაიხიზნა. ერთი სამად გაიზარდა ფასები შავ ბაზარზე. ძნელი გახდა ნიჭიერი და მდიდარი „ბიზნესმენებით" დაკომპლექტებული ჩრდილოვანი ეკონომიკის მესვეურთა წინააღმდეგ ბრძოლა, ხელფასზე მჯდომი არც თუ მომადლებული ნიჭით დაჯილდოვებული კადრებით, მითუმეტეს ამ არაოფიციალური ეკონომიკის ფესვები ღრმად იყო გამჯდარი სოციალურ ნიადაგში.

მერე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ახალი ინიციატივა გამოიჩინეს — დაიწყო უცხოური მარკის ავტომობილების მფლობელების დევნა... ამ დროისათვის ომარ ფხაკაძეს ძველი გამოშვების „მერსედესის" მარკის ავტომანქანა უკვე გაყიდული ჰქონდა და აქტიური სპორტიდან წასული თბილისის ცენტრალური ველოდრომის დირექტორი სპრინტერების მომზადებით იყო დაკავებული...

მართალია, გაიელვა ველოსპორტის კაბადონზე ერთი-ორმა ნიჭიერმა სპრინტერმა (გელაშვილი, მჭედლიშვილი), მაგრამ, ომარ ფხაკაძისთანა მაინც არ ჩნდებოდა და სპეციალისტები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სპრინტერებად იბადებიან. ვისაც ჰქონია საშუალება ჩაწვდომოდა ველოსპრინტის ინტელექტს (დიახ ინტელექტს), ვინც იცის დიდი ველოსპრინტის ფასი და ჰქონია ბედნიერება ენახა ტრეკზე ომარ ფხაკაძე, იგი დამეთანხმება, რომ ომარი ისეთივე მოვლენაა სპორტში, როგორც მუსიკის სამყაროში ბეთჰოვენი, ფერწერაში — გოია, პოეზიაში — გალაკტიონი. ჩვენმა საუკუნემ მსოფლიოს ველოსპრინტის ორი დიდი კლასიკოსი აჩუქა — ქართველი ომარ ფხაკაძე და ფრანგი დანიელ მორელონი, ეს სრულიად განსხვავებული ტიპის ორი სპრინტერი (მართალია ისინი ერთმანეთის „დაუძინებელი მტრები" იყვნენ) უდიდესი პატივისცემითა და სიმპათიებით ეპყრობოდნენ მეტოქის ნიჭსა და ავტორიტეტს. როცა ასპარეზობისას მორელონი აჯობებდა ფხაკაძეს, ჯენტლემენი ფრანგი მორიდებით მივიდოდა რაინდ ქართველთან, მხარზე ხელს მოუთათუნებდა, უსიტყვოდ მოუხდიდა „ბოდიშს"... ხან პირიქით იყო — ომარი გამოუცხადებდა ხოლმე ადამიანურ თანაგრძნობას ღირსეულ ფრანგს...

●

ომარ ფხაკაძემ გიორგი შენგელაიას დაჟინებითი თხოვნით ყველასათვის მოულოდნელად ეკრანზე განასახიერა ხარებას სახე (ფილმში „ხარება და გოგია"), რეჟისორმა საოცარი სიზუსტით განსაზღვრა ომარისა და ხარებას ხასიათის განუმეორებელი მსგავსება, ფაქტიურად ხარება ომარ ფხაკაძეა, ფხაკაძე კი ხარებაა. ამიტომ მადლობის მეტი რა გვეთქმის გიორგი შენგელაიასადმი, მან კინოფირზე შემოგვინახა ლეგენდარული სპორტსმენის არა მარტო სახე, არამედ მისი ხასიათი, რაინდული ხასიათი, რომელიც აგრერიგად დეფიციტური გამხდარა ჩვენს დროში.

დღეს ველოდრომსა და ველოსპორტს ყველაზე მეტად უჭირს. ამიტომ მინდა შეგახსენოთ, რომ ომარ ფხაკაძე პირველი საბჭოთა ველოსიპედისტია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. არ არსებობს ჯილდო ველოსპრინტში, რომლის მფლობელიც ომარი არ იყოს. მისი მსოფლიო რეკორდის მოხსნა 17 წლის განმავლობაში ვერავინ შეძლო. 1965 წელს ქართველი სპორტსმენი საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენად აღიარეს, ერთხელ და უკანასკნელად. ომარ ფხაკაძე რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მაშინ ყველა ქართველი, დიდი თუ პატარა, მოხუცებულიც კი ველოსპორტის თავდადებული გულშემატკივარი იყო. ცოტანი ვართ ქართველები და ცრემლებამდე გვაღელვებს ჩვენი თითოეული თანამოძმის მსოფლიო აღიარება...

ომარ ფხაკაძე საქართველოსი და სპორტის იმ სახეობის ჭეშმარიტი პატრიოტია, რასაც მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი მიუძღვნა. ტანზე ვერ უნახავთ ადგილს, იარა რომ არ ჰქონდეს. ზოგჯერ ხუმრობით იტყვის — მსოფლიოს ველოდრომების საფარზე გამოვიცვალე „ტყავიო". ომარს არა აქვს აგარაკი (თუმცა, მას თუ არა, მაშ ვისღა უნდა ქონდეს), ომარი არ თხოულობს „სარფიან" თანამდებობას, არც „ვოლგა" ჰყავს (ესეც რახანია ეკუთვნის) და საერთოდ, მისი სიმდიდრე თავისი ლამაზი ოჯახი, პატარა შვილიშვილი და ველოდრომია, რომელსაც პაწაწინა შვილიშვილივით უფრთხილდება...

ამიტომ, თუ არ მიეხმარებით, ხელს მაინც ნუღარ შეუშლით, აღუდგინეთ ველოდრომს რესტორან „ამირანის" მშენებლობის დროს დანგრეული სავარჯიშო ტრასა და ნუღარასოდეს ჩაიდენთ მკრეხელობას.

ნუ ძარცვავთ ველოდრომს, ის ხომ ქალაქის სიამაყეა!

**თამაზ ჭეიშვილი**

**სურათებზე: ომარ ფხაკაძე (ზემოთ); ველოდრომის საერთო ხედი, სადაც № 1-ით აღნიშნულია სასაფლაოს ძველი და ახალი საზღვარი, № 2-ით ჩამოჭრილი ველოტრასის ნაწილი, სადაც ახლა რესტორანი შენდება. საერთო ხედზე კარგად ჩანს აგრეთვე გარაჟი, რომელიც წინათ ველოდრომის ტერიტორიაზე აშენდა.**



# „მადლი ქენი“...

**უმადურობა** უზნეობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ზნესრულს, ინდივიდი იქნება ის თუ ერი, მადლიერების გრძნობა არასოდეს ღალატობს. მადლობის თქმის, მადლიერების გამოხატვის ათასი საბაბი და მიზეზი არსებობს ჩვენს ყოველდღიურობაში. ხევსურეთში მოხუცისთვის ნაკვერჩხალი რომ დაგედო ყალიონზე, „მტერსამც მაუდებ შორიელს, კაის მამის შვილო!“ — გეტყოდა მოხუცი. ეს იმას ნიშნავს: შორეული მტრისთვის მოგეკიდებინოს ცეცხლი (ახლობელ მტერს კი ადვილად მოევლება), იქვე შეგონება: კარგი მამის შვილი ხარ და გაურჯელობა არც გეკადრებაო.

დღემდე არ მასვენებს ჩემი ერთი უმადურობა: 1955 წლის ზაფხულში სოფლიდან თბილისში ვბრუნდებოდი. საბარგო მანქანის ძარაზე მარტო მე ვიყავი და მომქონდა სტუდქალაქში საწოლის ქვეშ ხუთ წელს ნაგდები, გაცვეთილი ჩემოდანი, რომელშიც ჩემი მთელი ავლადიდება ელაგა: ტანსაცმელი, დოკუმენტები და, რაც მთავარია, უმაღლესის დამთავრების დიპლომი. მანქანა ჯაყჯაყებდა და მახტუნავებდა.

ჩამოსვლისას ჩემოდანი მანქანაზე აღარ აღმოჩნდა... პირველი გაფიქრება: „ვიწრო ქუჩაზე, ახალგაზრდები რომ გადარბ-გადმორბოდნენ და ჟივილ-ხივილით აყრუებდნენ იქაურობას, ვიღაცა ამოებღატა ძარას და ჩემოდანი გადაათრია...“

მძღოლმა უგუნებობა შემამჩნია და, მიზეზი რომ გაიგო, „მეტი რა გებარა, შე ბოთე“-ო, მომახალა, მგზავრობის ფულზე უარი თქვა და კაბინიდან გამომძახა: „წადი, მილიციაში განცხადება დატოვე!“-ო. დავტოვე და როცა მივაკითხე, მორიგემ ჩემი განცხადება ზურგშექცევით დაიკავა და იქ მოხსენიებული ნივთები ჩამომათვლევინა; მაგიდის ქვეშიდან წიხლით გამოაგდო ჩემი მრავალტანჯული ჩემოდანი: „ეს არის? ნახე, ხომ არაფერი გაკლია!“ „თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, სად და როგორ იპოვეთ?“ „აბა რის მილიცია ვართ?“ — წაიტრაბახა მორიგემ და ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ მომიყვა: მანქანის ჯაყჯაყში ჩემი ჩემოდანი ქუჩაში გადავარდნილა. მოშორებით დედა და მისი ვაჟიშვილი მოდენილან; უყვირიათ, უსტვენიათ, მაგრამ მე არაფერი გამიგონია. ჩემოდანი მილიციაში მიუტანიათ, ჩავიწერე მისამართი („გურჯაანის ქუჩა“ ახლაც მახსოვს), მაგრამ სახსარი (მცირე საჩუქარი ხომ მაინც უნდა მიმეტანა) დროზე ვერ ვნახე და, ჩემდა სამარცხვინოდ, მისამართიც დავკარგე. ვიმეორებ: ეს უმადურობა დღემდე მაწუხებს.

ეს ვრცელი მონანიება უცნობ მოყვასთა ყოვლად დამსახურებული, მაგრამ ჩემგან ერთხელ კიდევ დაგვიანებული იეორე მადლობის სათქმელადაც დამჭირდა:

მიმდინარე წლის 15 აპრილს გავიგე, რომ ჩემი რძალი (ძმის მეუღლე) სარეანიმაციო განყოფილებაში დაუწვენიათ, მაგრამ საჭირო წამალი საავადმყოფოში არ აღმოჩენილა. მე მაშინვე იქით გავეშურე.

საავადმყოფოდან (ძალიან შორი მანძილიდან) გვიან დაბრუნებულს მეუღლე ატირებული დამხვდა. შევშფოთდი: „მართალია, საავადმყოფოში დამაიმედეს, მაგრამ, ეტყობა, ვიდრე გზაში ვიყავი, რაღაც მოულოდნელი მოხდა და საავადმყოფოდან დარეკეს“-მეთქი. „არაო, — ქალმა სიცილ-ტირილი აურია ერთმანეთში, — ტელევიზიით გამოვაცხადეთ წამლის შესახებ და მას მერე განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი, დარეკეს ქუთაისიდან, სამტრედიიდან, გორიდან, ახმეტიდან, რუსთავიდან... თბილისიდან ხომ ათმა კაცმა მაინც შემოგვთავაზა და მოგვცა კიდეც უსასყიდლოდ. — და არ მეგონა, თუ ქართველები ასე ვიზიარებდით ერთმანეთის ჭირს, სიხარულმა ამატირა“-ო. შემდეგ გავიგე, რომ ერთი თბილისელი მოქალაქე, თვითონაც ავადმყოფი (ღმერთო ულხინე!) უჩვენოდ მიბრძანებულა საავადმყოფოში და ეს წამალი მიუტანია, ხოლო მეორეს მეტროპოლიტენის ერთ-ერთი [illegible] დღერის მორიგესთან დაუტოვებია.

[illegible] გაჭირვების ჟამს მოყვასისთვის [illegible] ამოდგომა დღევანდელ საქართველოსთვის ნიშანდობლივია და მისი აღუნიშნაობა და დაუფასებლობა არ ეგების. ერთი ოჯახის გასაჭირი მთელმა საქართველომ გაიზიარა... ავთანდილი ასე ლოცავს ხატაელ ძმებს: „ვითა მე [illegible] ხვდი წადილსა, ჩემის გულის [illegible] ბასა, აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა!“

ღრმად მწამს, რომ დღეს და დღეის ამას იქით საქართველოში „იპოვების მრავალგზის სული მორწმუნე და მმადლობელი“, ვინაიდან „უმადლოისა სასოება, ვითარცა ზამთრისა თრთვილი, დადნეს“, ვინაიდან ბრძენი წინაპარი გვიანდერძებს: „მადლი ქენი, ქვას დ[illegible] იარე, წინ დაგხვდება“.

**ალ[illegible]ი ჭინჭარაული**

---



# ვულოცავთ!

ეს ზაფხული, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება გალინა ქადაგიშვილს. მან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

გალინამ წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 164-ე საშუალო სკოლა. მოსწავლეობისას არაერთგზის გაიმარჯვა ფიზიკისა და მათემატიკის საქალაქო ტურებსა და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში.

ბედნიერ სტუდენტობას გისურვებთ, გალინა.

---

**10 აგვისტოს**, საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით, ტულაში გაიმართა შეჯიბრება, 500 მეტრზე ადგილიდან გიტში. პირველი ადგილი და ჩემპიონის მედალი მოიპოვა თბილისის ოლიმპიური ველოცენტრის „ივერიას“ სპრინტერმა ვალერი პოტაპოვმა (ოლიმპიური ცენტრის ხელმძღვანელია მსოფლიოს ექსჩემპიონი ომარ ფხაკაძე, ვ. პოტაპოვის პირადი მწვრთნელი ანატოლი სტაშევსკი).

მეორე დღეს, სპრინტერულ ველორბოლაში პოტაპოვი მეორე იყო, პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ალექსეი ბოხანცევს ხვდა.

ტრეკზე მრბოლელ ველოსიპედისტთა საქართველოს გუნდი ორ სპრინტერულ სახეობაში გამოდიოდა და ორივეში საუკეთესო შედეგები აჩვენა. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რესპუბლიკების გუნდების რაოდენობა ოც-ოც სპორტსმენს აჭარბებდა, ჩვენ კი მხოლოდ სამი წარმოვადგინეთ და ორი მედალი მოვიპოვეთ.

— კარგია ეს თუ ცუდი? — ვკითხეთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ომარ ფხაკაძეს.

— კარგიც არის და ცუდიც. ამ-

# ველოტრეკის სახეობები იღუპება

ჯერად სპორტსმენთა მინიმუმით, შესაძლებლობათა მაქსიმუმი მოვიპოვეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა არც ერთ სპარტაკიადაზე ველოტრეკის სპორტსმენს ასეთი წარმატებისათვის ჯერ არ მიუღწევია, რომ იტყვიან „გამარჯვებულებს არ სჯიან“ო“ და ჩვენც მხოლოდ ქება-დიდებით დავამთავრებდით ამ მოკრძალებულ წერილსაც, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს მორალური დანაშაული იქნებოდა. მიუხედავად ამ წარმატებისა, სამწუხაროდ, საქმე საზეიმოდ არა გვაქვს, ვინაიდან ველოსპორტის სახეობები იღუპება! სწორედ ეს გახლავთ მიზეზი ჩვენი გუნდის ასეთი მცირერიცხოვნებისა. ამ სპარტაკიადაზე ჩვენ ვერ წარმოვადგინეთ სპორტსმენები გამოდევნებითი და ჯგუფური რბოლის სახეობაში.

— მიზეზი რა არის?

— ბოლო დროს რატომღაც საქართველოს ველოსპორტში მავნე ტრადიცია დამკვიდრდა, ველოტრეკის ხარჯზე გზატკეცილის სახეობათა სპეციალისტებმა ამავე სახეობის აღორძინება მოინდომეს. მოხდა ისე, რომ ერთსაც ზიანი მიაყენეს და მეორესაც (ე. ი. მთლიანად ვერ ააღორძინეს).

ამას წინათ საქართველოს პირველობაზე სულ 8 სპორტსმენი გამოდიოდა და ისიც მხოლოდ თბილისიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ველოტრეკის სახეობები იღუპება, რაც არავის ეპატიება.

ამბობენ, ადამიანები შეცდომებზე იზრდებიანო, მაგრამ შენი შეცდომები სხვას ზიანს არ უნდა აყენებდეს, ერთი სახეობის მოსაძლიერებლად მეორე არ უნდა გავწიროთ... საქმე გაფუჭდა, პასუხს კი არავინ აგებს. იქნებ დროა ბოლო მოეღოს უსასრულო ექსპერიმენტებს, რასაც უაზრობამდე მივყავართ.

**საკუთარი ინფორმაცია**

---

# საქართველოს ყველა მოქალაქის საყურადღებოდ!

აჭარკოოპკავშირის გამგეობა ყველა დაინტერესებული პირის საყურადღებოდ აცხადებს, რომ აჭარკოოპკავშირმა „თვალის მიკროქირურგიის“ დარგთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის კრასნოდარის ფილიალთან (ს. ფიოდოროვის კლინიკა) ერთად, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დიაგნოსტიკისა და აღდგენითი მკურნალობის რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე სამეურნეო ანგარიშზე გაიხსნა განყოფილება, სადაც მოეწყობა, როგორც საბჭოთა, ისევე უცხოელი პაციენტების მაღალკვალიფიციური ოფტალმოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევა და საოპერაციოდ მათი ქალაქ კრასნოდარის კლინიკაში გაგზავნა.

უმკურნალებენ ისეთ ოფტალმოლოგიურ სნეულებებს როგორიცაა:

— კატარაქტა

— კლაუკომა (სხვადასხვა სტატია)

— თანდაყოლილი შორსმხედველობა

— ახლომხედველობა

— სიელმე და ა. შ.

დიაგნოსტიკის ფასი 41 მანეთია, ერთ თვალზე ოპერაციის საშუალო ღირებულება — 300 მანეთი, პაციენტს აქვს რიგგარეშე მკურნალობის უფლება ხელსაყრელ დროს.

ქალაქ კრასნოდარში პაციენტების გადაყვანა მოხდება სპეციალურად იჯარით აღებული თვითმფრინავით კვირაში ორჯერ.

კლინიკაში ავადმყოფები და მათი თანმხლები ახლობლები მოთავსდებიან მაღალი კლასის პანსიონატში ორადგილიან ნომრებში.

დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოო დაწესებულებებს ვთხოვთ, მოგვმართონ ხელშეკრულებების გასაფორმებლად, ცალკეულ ორგანიზაციებს, მკურნალობისათვის საჭირო თანხა შეუძლიათ გადარიცხონ კოლექტივის სოციალური განვითარებისათვის გამოყოფილი ფონდებიდან.

მომსახურებისათვის ცალკეული მოქალაქე გადაიხდის ნაღდ ფულს, უცხოელ მოქალაქეთა მომსახურება ხდება თავისუფალ კონვერტირებულ ვალიუტაზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე — ბათუმი, სტალინის პროსპექტი № 16, აჭარკოოპკავშირის გამგეობა, ტელეფონი 2-47-93, დაბა ხელვაჩაურის დიაგნოსტიკის ცენტრი (სოფელი შარაბიძეები) ტელეფონი 4-10-25.

**აჭარკოოპკავშირის გამგეობა**

---

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება. ხოჯ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების“ ანგარიშზე 100700008 მთაწმინდის რაიონის მინხოცბანკში.**

---


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ, სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა გოგებია

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 გ. კოსტავას ქ. № 14.